ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## აკაკი ასათიანი: „ოცნება“ 2020-ის არჩევნებს ყველა შემთხვევაში წააგებს“

გვ.3

## 13 დეკემბრიდან

## რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 2 ლარი

პარასკევი, 14 დეკემბერი, 2018 | №296 (7841) | ფასი: 60 თეთრი

# „ოცნების“ დეპუტატებს ნაციონალებთან ჩხუბი აკრძალული აქვთ“

## ემზარ კვიციანი:

### „ნიკა მელიამ იცის, რომ თმის ერთი ღერიც არ ჩამოუვარდება“

გვ.2

### „ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს თუ არ ასამართლებენ, პარლამენტიდან მანდატურები მაინც მოგვაშორონ“

გვ.5

## ირაკლი მენაღარიშვილი: „საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებით 2008 წლის ომის აცილება შესაძლებელი იყო“

„რუსეთს ყალბი ილუზია აქვს. მის განცხადებებს დასავლეთი ანგარიშს უწევს“



გვ.3

## სოსო ცინცაძე: „მარგველაშვილის რანგის პოლიტიკოსის დაკარგვის ფუფუნება საქართველოს არ აქვს“

## ჯელალ ქიქავა გაერთიანებულ ოპოზიციაზე ნაწყენია

გვ.4

## სამართალი

გვ.7

### ბორში „ბორმეიდის“ დაცვა ცემეს




### წყნეთის „წისქვილში“ მაღალჩინოსანმა გიორგი ყანჩაველს იარაღი შუბლზე დაადო და გასროლით ემუქრებოდა

### პირს სასაფლაოზე 15.000 დოლარი და 50 აბი სუბოქსინი მოსთხოვეს

### ქობულეთში მიკროავტობუსი 2 წლის ბავშვს დაეჯახა

## ეკონომიკა

### რუსეთის მთავრობა ლუგარის ლაბორატორიის დისკრედიტაციას ცდილობს

გვ.6

დეზინფორმაცია C ჰეპატიტის წარმატებული პროგრამის წინააღმდეგ

### გიორგი ქობულია: „საპენსიო რეფორმის გადავადებას არ ვაპირებთ“

ISSN 1987-9385

**4** „თუ ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობა არ შეიზღუდება, მოსახლეობა რამდენიმე ბანკის მძევალი გახდება“

**5** სალომე ზურაბიშვილი: „გუნდს მომდევნო კვირაში დავაკომპლექტებ“

**4** გიორგი მარგველაშვილი: „ივანიშვილთან მუშაობა მომწონდა. კარგი იქნება, თუ პრემიერად დაბრუნდება. ამით, როგორც ერთ სიმღერაშია, „დამთავრდება უხერხული ღიმილი“

**5** უცხოელებს, რომლებიც ქართულ მიწებს არ ამუშავებენ, შესაძლოა, ქონება ჩამოერთვათ

# „ოცნების“ დეპუტატებს ნაციონალებთან ჩხუბი აკრძალული აქვთ“

## ემზარ კვიციანი: „ნიკა მელიამ იცის, რომ თმის ერთი ღერიც არ ჩამოუვარდება“

შორენა მარსაგიშვილი



**რატომ ჩხუბობენ პატრიოტთა ალიანსის წევრები მეოცნებეების მაგივრად, რაში უშლიან მათ ხელს მანდატურები, აპირებდა თუ არა ნიკა მელიაზე თავდასხმას, როგორ მოინადირა სალომე ზურაბიშვილმა მისი გული? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი ესაუბრება.**

– 12 დეკემბერს პარლამენტში ირმა ინაშვილი ნიკა მელიას ეჩხუბა, ნაციონალებზე თქვენც გაიწიეთ. დარჩა შთაბეჭდილება, რომ „ქართული ოცნება“ პატრიოტთა ალიანსის ზურგს არის ამოფარებული. თქვენ რატომ ჩხუბობთ მათ მაგივრად? თუ ჩხუბია, „ოცნებამ“ უნდა იჩხუბოს – თქვენ 6 კაცი ხართ, მათ საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავთ.

– ჩვენ არავის მაგივრად არ ვჩხუბობთ. პატრიოტთა ალიანსი პატრიოტთა ალიანსისთვის ჩხუბობს. ახლავე გეტყვით, რა მოხდა. ნიკა მელია პარლამენტში გამოვიდა სიტყვით, სადაც შეუტია „ოცნებას“. „ოცნებამ“ მას პასუხი არ გასცა. ამან მელია გაათამამა და შემოგვიტია ჩვენც.

ირმა ინაშვილი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოდიოდა სიტყვით. ჯერ რა დრო ჰქონდა განცხადების გასაკეთებლად და მელია ამ დროსაც აკარგვინებდა.

ორ კვირაში ერთხელ 4 წუთი გვაქვს გამოყოფილი განცხადების გასაკეთებლად, რაც, თავის მხრივ, კურიოზია. პარლამენტი იმისთვის არის, რომ ილაპარაკო, ჩვენ კი ორ კვირაში 4 წუთი გვაქვს გამოყოფილი განცხადებების გასაკეთებლად.

***– რას ნიშნავს 4 წუთი, ალიანსის თითო წევრს უფლება აქვს, ორ კვირაში ერთხელ 4-წუთიანი განცხადება გააკეთოს?***

– რა თითო წევრს 4 წუთი? მთელ ფრაქციას განცხადების გასაკეთებლად გამოყოფილი აქვს 8 წუთი. ამ 8 წუთს ვყოფთ 4-4 წუთად და ორი ადამიანი ვაკეთებთ განცხადებას. მოკლედ რომ გითხრა, ჩვენი ფრაქცია ძალიან შეზღუდულია. ეს რანაირი დემოკრატიაა, უკვე აღარ ვიცი.

დავუბრუნდები იმ ამბავს, რასაც გიყვებოდი. ირმა გამოდიოდა სიტყვით და „ოცნების“ განებივრებულმა ნიკა მელიამ მას საუბრის უფლება არ მისცა – რეპლიკებს ესროდა. ამის ატანა აღარ შეიძლებოდა და დაიძაბა კიდევაც სიტუაცია. ეს იყო და ეს.

***– მელია „ოცნებამ“ რატომ გააანებივრა? ქოცებს რომ ჰკითხო, ნაციონალები უნდა დამთავრდნენ, ეგენი კიდევ თურმე ანებივრებენ. დემოკრატობას თამაშობენ?***

– ეს არანაირი დემოკრატია არ არის. „ოცნებაზე“ მეტად ნაციონალებს უცხო ქვეყნები და მათი საელჩოები ანებივრებენ. უნდა გახსოვდეს, რომ ნაციონალებს ლობისტები ჰყავდა.

***– ნაციონალების ლობისტები როგორ არ მახსოვს, მაგრამ ლობისტების ყოლა დანაშაული არ არის.***

– დანაშაული არ არის, მაგრამ ლობისტსაც ხომ გააჩნია. ნაცებს ძალიან ცუდი ლობისტები ჰყავდათ.

***– მათი სიცუდე რაში გამოიხატება?***

– ისინი 9 წლის განმავლობაში ნაციონალებს ახალისებდნენ. დირექტივებს აძლევდნენ, როგორ ეწამებინათ, ეუპატიურებინათ და დაეხოცათ ხალხი. „ოცნება“ მეშვიდე წელია ხელისუფლებაშია და იმდენი ვერ შეძლეს,



ნაცების წამხალისებლები ნონგრატებად გამოეცხადებინათ.

12 დეკემბერს ნიკა მელიამ სწორი თქვა – დანაშაულის დამფარავი და დანაშაულის ჩამდენი – ორივე დამნაშავეა.

ამიტომ, ვინც ნაციონალები შეიფარა ან დაიფარა, ვინც კოაბიტაცია გამოაცხადა, ყველანი დამნაშავეები არიან. ნაცებს ძალიან ბევრი მფარველი ჰყავთ და ამიტომაც არიან ძალიან გათავხედებულები.

კიდევ არის ასეთი მომენტი, რომ „ოცნებიდან“ ვინც კი ნაცების წინააღმდეგ ხმა ამოიღო, ყველა გააჩუმეს.

***– რატომ გააჩუმეს ან ვინ გააჩუმა?***

– რატომ გააჩუმეს, არ ვიცი, მაგრამ მაგ ქმედებას მიუნხენის მეთოდი ჰქვია. მიუნხენის მეთოდია, როცა მოწინააღმდეგე შენივე ნათესავის ან მეგობრის ხელით გბორკავს, თავად კიდევ ცხვირში გირტყამს.

***– ამით რისი თქმა გინდათ, რომ მეოცნებეებს „ოცნებაში“ ნაციონალების ჩანერგილი ხალხი ბორკავს?***

– მაგ ხალხს გინდა ჩანერგილი დაარქვი და გინდა დანერგილი, ფაქტი ის არის, რომ მიუნხენის მეთოდთან გვაქვს საქმე.

„ოცნების“ ერთ-ერთ დეპუტატს ვუსაყვედურე, არ გრცხვენია, ნაცებზე ხმას რატომ არ იღებ-მეთქი. იცი, რა მითხრა? მე რომ ახლა ხმა ამოვიღო, მერე შიდა თათბირზე ყველა მე დამესევაო.

„ოცნებაში“ ვიღაცას ასეთი დირექტივა აქვს მიღებული, რომ ნაციონალებს თავიდან ერთი თმის ღერიც კი არ უნდა ჩამოუვარდეთ.

***– ვის აქვს ეს დირექტივა მიღებული?***

– იმას, ვინც „ოცნებას“ შიგნიდან მართავს. ამის შესახებ ნაციონალებმაც იციან და ერთ ამბავში არიან. ნიკა მელიამაც იცის, რომ მას თავიდან თმა არ უნდა ჩამოუვარდეს და ამიტომაც ყველაფერს ლაპარაკობს.

***– რა დირექტივაა, არ ვიცი, მაგრამ მაგ დირექტივის გარეშეც არ ჩამოუვარდება მელიას თავიდან თმა, იმ მარტივი მიზეზით, რომ ხოტორაა.***

– ეგ მომენტიც არის, მაგრამ სიხოტორის გამო კი არ არის გათამამებული. მფარველების ამბავია აქ. მფარველების წყალობით ჩადიან იმას, რასაც ჩადიან.

***– რას ჩადიან?***

– იმის მაგივრად, რომ იყუჩონ და წყნარად იყვნენ, თავზე გვასხდებიან და თავს გვესხმიან.

***– შემოდგომაზე თქვენმა პარტიამ რეზოლუციის პროექტი მოამზადა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს წინა ხელისუფლების გასამართლება. როდის აპირებს პარლამენტი მის განხილვას?***

– რეზოლუცია სერიოზულია, მაგრამ, როდის მოხდება მისი განხილვა, არ ვიცი. შემოტანილია, მაგრამ სხვანაირად არის საქმე. განსახილველი საკითხების სიაში ჯერ 55-ე საკითხად ჩაწერეს, მერე 88-ე იყო. ბოლოს რომ შემოიტანეს, სიაში 52-ე იყო.

წარმოიდგინეთ, რა ხდება – ამ საკითხს აქეთ-იქით ათამაშებენ, განხილვა კი არ ხდება. არადა, შეუძლიათ, პირდაპირ კენჭისყრაზე დააყენონ ეს საკითხი. სხვა თუ არაფერი, ამ რეზოლუციას საქართველოს 300.000 მოქალაქე უჭერს მხარს. ეს ხელმოწერები ჩვენ ზაფხულში შევაგროვეთ.

***– ადრე თუ გვიან ეს საკითხი კენჭისყრაზე აუცილებლად დადგება. თქვენი აზრით, დაუჭერს „ოცნება“ რეზოლუციას მხარს?***

– არ დაუჭერს და დიდი ლუსტრაცია მოხდება. ერთხელ და სამუდამოდ გავიგებთ, ვისთან გვაქვს საქმე. ისედაც ვიცით, ვისთან გვაქვს საქმე, მაგრამ საკითხი გაოფიციალურდება.

საკმარის ხმებს მოვაგროვებთ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ბევრი მეოცნებე გვიჭერს მხარს.

***– არჩევნების მერე თქვენ, ირმა ინაშვილმა და გიორგი ლომიამ განცხადებები გააკეთეთ. დარჩა შთაბეჭდილება, რომ ალიანსი „ოცნებაზე“ გაბრაზდა. მართლა გაბრაზებული ხართ?***

– გაბრაზებული როგორ არ ვართ, თავზე დაგვასვეს ნაცები. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ „ოცნებამ“ საპრეზიდენტო არჩევნები ნაციონალების სასარგებლოდ გააყალბა.

***– ნაციონალების სასარგებლოდ რატომ უნდა გაეყალბებინათ?***

– დირექტივა ჰქონდათ ასეთი.

***– ეს გაყალბება რით გამოიხატა?***

– დღეს ნაცები ყვირიან, 800.000 ხმა ავიღეთო, აქციაზე კი 3.000 კაცი მოიყვანეს. ახლა ვსვამ კითხვას, რატომ არ მოვიდა აქციაზე 800.000 ადამიანი? იმიტომ არ მოვიდა, რომ ნაცებისთვის ამდენ ადამიანს არ მიუცია ხმა.

***– თქვენი აზრით, 800.000 ადამიანი უნდა გამოეყვანათ?***

– ამდენი ვერ გამოვიდოდა, მაგრამ 100.000 მაინც გამოეყვანათ. არ ჰყავთ ამდენი მხარდამჭერი და როგორ გამოიყვანდნენ. 2 დეკემბრის აქციის შემდეგ დამტკიცდა, რომ „ოცნებამ“ არჩევნები ნაციონალების სასარგებლოდ გააყალბა.

## „ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს თუ არ ასამართლებენ, პარლამენტიდან მანდატურები მაინც მოგვაშორონ“

***– ნაციონალების სასარგებლოდ რატომ უნდა გაეყალბებინათ?***

– დირექტივა ჰქონდათ ასეთი.

***– ეს გაყალბება რით გამოიხატა?***

– დღეს ნაცები ყვირიან, 800.000 ხმა ავიღეთო, აქციაზე კი 3.000 კაცი მოიყვანეს. ახლა ვსვამ კითხვას, რატომ არ მოვიდა აქციაზე 800.000 ადამიანი? იმიტომ არ მოვიდა, რომ ნაცებისთვის ამდენ ადამიანს არ მიუცია ხმა.

***– თქვენი აზრით, 800.000 ადამიანი უნდა გამოეყვანათ?***

– ამდენი ვერ გამოვიდოდა, მაგრამ 100.000 მაინც გამოეყვანათ. არ ჰყავთ ამდენი მხარდამჭერი და როგორ გამოიყვანდნენ. 2 დეკემბრის აქციის შემდეგ დამტკიცდა, რომ „ოცნებამ“ არჩევნები ნაციონალების სასარგებლოდ გააყალბა.

12 დეკემბერს სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა მაგარი განცხადება. ის გამოეხმაურა იმ აქციას, რასაც ჩვენ იუსტიციის სახლებთან ვატარებთ. ჩვენ ვეწინააღმდეგებით უცხოელებზე მიწების გასხვისებას. ქალბატონმა სალომემ ამას მხარი დაუჭირა.

მან თქვა, რომ ქართული მიწა უცხოელებზე არ უნდა გასხვისდეს. ამას მივესალმები. ეს უკვე მესამე ნაბიჯია სალომე ზურაბიშვილის მიერ გადადგმული, რომელიც მომეწონა.

***– წინა ორი ნაბიჯი რომელი იყო?***

– პირველი ასეთი ნაბიჯი იყო თამარ მეფის ხატთან დაკავშირებით. მეორე ნაბიჯი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, რადგან მომეწონა, ესე იგი ძალიან ქართული გადაწყვეტილებაა. იმედი მაქვს, დანარჩენი მისი ნაბიჯებიც მომეწონება.

მიწასთან დაკავშირებით მან დიდი სოლიდარობა გამოგვიცხადა და მეც დიდი სიამოვნებით დავესწრები მის ინაუგურაციას.

***– ანუ მიდიხართ თელავში?***

– თელავში წასვლას რა უნდა? ხმის მისაცემად თბილისიდან წალკაში ჩავირბინე. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ამ ქალბატონს მივცემდი ხმას, მაგრამ ჩიხში შეგვიყვანეს და სხვა გზა არ იყო

ჩემს მიცემულ ხმასაც პატივს ვცემ ახლა და ქალბატონ სალომესაც, ამიტომ დიდი სიხარულით მივდივარ თელავში.

***– თელავში ნაციონალები დაგხვდებიან.***

– ნაცები რატომ უნდა დამხვდნენ? მე დამდევენ თუ რა ხდება.

***– თქვენ არ დაგდევენ, აქციას მართავენ იქ ინაუგურაციის დღეს.***

– ხედავთ, რა ხდება? ნაციონალები არჩეულ პრეზიდენტს აქციას უწყობენ. გამოვდივარ წინადადებით, რადგან „ოცნებას“ ჩვენ მიერ მომზადებული რეზოლუციის მიღება არ უნდა, მაშინ მანდატურები მაინც მოაშორონ პარლამენტიდან.

***– სხდომათა დარბაზში რომ მანდატურები დადიან, იმათ მოშორებას ითხოვთ?***



– მაგათ მოშორებას ვითხოვ.

***– მანდატურებს რას ერჩით?***

– მანდატურებს არაფერს ვერჩი. უბრალოდ, ეგენი რომ არ იქნებიან, სხდომათა დარბაზში ერთი პატარა ხმაურიც კი არ იქნება. ნაციონალები მანდატურების იმედით არიან გაჯეჯილებული.

***– მანდატურები რანაირად აჯეჯილებენ ნაციონალებს?***

– რანაირად და მათთან მიახლოების უფლებას არავის აძლევენ. ინაშვილისა და მელიას ჩხუბის დროს მანდატურებმა მეც გამაკავეს.

***– ბლომად ხალხი დაგესიათ და მთლიანობაში რამდენი გაკავებდათ?***

– თვლით არ დამითვლია, მაგრამ, შენ როგორც თქვი, ბლომად იყვნენ.

***– რატომ გახდა თქვენი გაკავება აუცილებელი?***

– ჩხუბს მე არ ვაპირებდი და რატომ გამაკავეს, არ ვიცი.

***– ჩხუბს არ ვაპირებდიო და აბა მელიასკენ რატომ მირბოდით?***

– მივრბოდი, მაგრამ ჩხუბს არ ვაპირებდი. ირმა ხომ მივიდა მელიასთან, ვიფიქრე, ქალია და შეურაცხყოფა არავინ მიაყენოს, მერე ვიღაცა მართლა გასალახი მეყოლებოდა. ირმას გვერდით მინდოდა დგომა, სულ ეს იყო.

***– ირმას დაჩაგვრა ასეთი იოლი არ არის.***

– იოლი არ არის, მაგრამ ირმა მაინც ქალია და მის გვერდით უნდა ვყოფილიყავი. მელიასთან ისე რატომ უნდა მეჩხუბა? ეგ ნაციონალებში ყველაზე სუფთაა და იმ უბედურებებში, რასაც სააკაშვილის რეჟიმი ჩადიოდა, მისი ხელი არ ურევია.

იმის სურვილიც კი არ მაქვს, რომ ამ ადამიანს ცუდი სიტყვა ვუთხრა, მანდატურებმა კი შემბოჭეს.

***– ისე, ბევრი მანდატური დადის სხდომათა დარბაზში?***

– ერთი და ორი კაცისთვის ბევრია, საპარლამენტო უმრავლესობისთვის ცოტანი არიან. წესით, უმრავლესობის უმრავლესობა უნდა ამდგარიყო და ეს ნაციონალები ისევე უნდა გაეტანათ გარეთ, როგორც ორი წლის წინ პარლამენტში შემოიტანეს.

***– სად გარეთ უნდა გაეტანათ?***

– პარლამენტის გარეთ, სადმე ქუჩაში, ქვეყანაც დაისვენებდა და პარლამენტიც.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „მარგველაშვილის რანგის პოლიტიკოსის დაკარგვის ფუფუნება საქართველოს არ აქვს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის ხუთწლიან ვადას აფასებს.**

***– ბატონო სოსო, როგორი პრეზიდენტი იყო გიორგი მარგველაშვილი?***

– პირველ რიგში, უნდა შევაფასოთ იმ უფლებამოსილებიდან გამომდინარე, რომელიც მას ჰქონდა. გიორგი მარგველაშვილი ფრთებდაჭრილი არწივი იყო. ჩემთვის მთავარი იყო ის, რომ ის იყო ინტელექტუალი, მოაზროვნე, ევროპელი, პროდასავლური ფასეულობების პოლიტიკოსი. ჩვენი პარლამენტის ფონზე, როდესაც ჩხუბი, გინება, შეურაცხყოფა ლამის ნორმად იქცეს, უკვე ქალებიც კი კბილების ჩალეწვაზე იწევენ, როდესაც პარლამენტი ძველბიჭების კლუბად არის ქცეული, ბოლო 5 წელი პრეზიდენტი მარგველაშვილი თეთრ ყვავად ჩანდა.

გიორგი მარგველაშვილი, რომელიც დაიბადა და გაიზარდა საქართველოში, ნამდვილი ევროპელი ინტელიგენტია. ეს მას ეტყობოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მე არ ვსაუბრობ მის თავაზიანობაზე. მე თუნდაც მის პოლიტიკურ ხედვებსა და გემოვნებაზე ვსაუბრობ.

***– ვეტოების პრეზიდენტად მოიხსენიებენ მას. ეს იყო პრეზიდენტის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში ჩავარდნა? ის კანონს ვეტოს ადებდა, მაგრამ შემდეგ ხელს აწერდა.***

– არა, მე ვერ ვუწოდებდი ამას ჩავარდნას. ის ვეტოს გამოყენებით თავის პოზიციას აფიქსირებდა. ეს იყო მისი ბერკეტი და ამ ბერკეტზე ის უარს არ ამბობდა. მას ვერავინ წამოაძახებს, რომ ცუდ კანონს მხარს უჭერდა და ვეტოს უფლებას არ მიმართა. ეს სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო მისი მხრიდან.

***– მაგრამ ბოლოს ხელს რომ აწერდა?***

– ეს იყო მისი მაღალი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მისი ხელმოწერლობა არაფერს ცვლიდა, პარლამენტის თავმჯდომარე მაინც მოაწერდა და კანონპროექტი ყველა შემთხვევაში კანონად იქცეოდა.

სამწუხაროდ, დღეს პრეზიდენტს მხოლოდ თავისი პოზიციის დაფიქსირება შეუძლია და არა – მოქმედება. ეს არის განსხვავება. დღეს პრეზიდენტი გადაწყვეტილების მიმღები არ არის. ერთი მხრივ, ის თავის პოზიციას აფიქსირებდა და ამით ყველას ეუბნებოდა, რომ ეს არ არის სწორი, მაგრამ, მეორე მხრივ, ვინაიდან მას პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა და არ უნდოდა, დესტაბილიზაცია შეეტანა საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში, საბოლოო ჯამში, კანონს ხელს აწერდა.

მარგველაშვილს არასდროს უკან არ დაუხევია საკუთარი აზრის გამოხატვაში. ის მართლაც ერთგული იყო საკუთარი პრინციპებისა და ღირებულებების.

ქართულ პოლიტიკაში ვერავის ვხედავ თავისი პრინციპებისა და ღირებულებების ასეთ ერთგულს. ეს ძალიან ცუდია. ქართველმა პოლიტიკოსებმა საკუთარ პრინციპებს გადააბიჯეს, მაგრამ მარგველაშვილი ასეთ კომპრომისზე არასდროს წასულა.

რასაკვირველია, ის სიმბოლური პერსონა იყო, ვინაიდან გადაწყვეტილების მიმღები პირი არ ყოფილა. ჩვენ შეგვეძლო გვენახა, თუ რის წინააღმდეგ გამოდიოდა პრეზიდენტი, რას არ იზარებდა და რა შეხედულება ჰქონდა მას. რას აკეთებდა, ამის ნახვა შეუძლებელი იყო, რადგან მას კონსტიტუციით არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

რას არ აკეთებდა – ამით შეგვიძლია, პრეზიდენტი მარგველაშვილი განვსაზღვროთ და შევაფასოთ. მას კარგის გაკეთება არ შეეძლო, მაგრამ ცუდს ეწინააღმდეგებოდა იმ ბლაგვი იარაღით, რომელიც კონსტიტუციამ დაუტოვა.

***– რა იქნება მისი პოლიტიკური მომავალი? ის ამბობს, რომ ამ ვითარებაში მესამე პოლუსის არსებობა შეუძლებელია, მას კი ორპოლუსიან პოლიტიკაში ყოფნა არ უნდა. ის თავის კარიერას მხოლოდ სამეცნიერო დონეზე გააგრძელებს?***

– მე მგონი, მარგველაშვილი თავის საათს დაელოდება. 68 წლის დე გოლი 12 წელი ელოდა. მარგველაშვილი გაცილებით ახალგაზრდაა. მე მაინც მგონია, რომ მარგველაშვილის საათი კიდევ ერთხელ დადგება ქართულ პოლიტიკაში. ბოლოს და ბოლოს, მარგველაშვილის ტიპისა და დონის პოლიტიკოსის დაკარგვის ფუფუნება საქართველოს ნამდვილად არ აქვს. მარგველაშვილი, რომელიც სახელმწიფოებრივად აზროვნებს, არა მგონია, რომ დუშეთში უნდა იჯდეს და მემუარებს წერდეს.

თემას ცოტა უნდა გადავუხვიო. მე მაინც მეგონა, რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტისთვის, კონკრეტულად კი ხელისუფლებისთვის, საფრანგეთში განვითარებული მოვლენები, სომხეთში განვითარებული პროცესები გაკვეთილი აღმოჩნდებოდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლების არც ერთ წევრს, არც დეპუტატებს მაკრონის გამოსვლა არ აქვს წაკითხული. რომ წაეკითხათ, შეუძლებელია, რაღაც დასკვნები არ გამოეტანათ.

***– რა უნდა დაენახათ „ყვითელი ჟილეტების“ აქციიდან?***

– ამ აქციით გამოჩნდა თანამედროვე ფრანგული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ხარვეზები. ეს კრიზისზე უარესია. ამ ფონზე სრულიად გაუგებარია, როცა ქვეყანაში, სადაც ასეთი სოციალური გაჭირვებაა, პურის ფასი გაიზარდოს – ადამიანების



დიდი უმრავლესობა მთელი დღე მხოლოდ პურსა და ჩაიზეა.

ამას ხომ გარკვეულ დასკვნამდე მივყავართ. პურის გაძვირების დაშვება ამ რეალობაში არის ლოგიკის მიღმა. ფინანსთა მინისტრის პოზიცია საბაზრო ეკონომიკასა და ასე შემდეგ კი ზღაპრების სფეროდან არის.

# აკაკი ასათიანი: „ოცნება“ 2020-ის არჩევნებს ყველა შემთხვევაში წააგებს“

## „სააკაშვილის ჩაჩოჩება გაერთიანებულ ოპოზიციას არ გამოუვა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ტრადიციონალისტი აკაკი ასათიანი პასუხობს**

***– ბატონო აკაკი, ორ დღეში ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაა. ოპოზიცია არ აღიარებს სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტად და აქციებით იმუქრება. როგორია თქვენი შეფასებები დღეს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე?***

– პირველ რიგში, არჩევნების თემით დავიწყებ და ვიტყვი, რომ ძალიან საინტერესო არჩევნები იყო ძალიან ბევრი თვალსაზრისით.

***– კერძოდ, რით იყო საინტერესო?***

– უპირველეს ყოვლისა, ყველაფერს რომ არ გამოვედევნოთ, დაფიქსირდა ერთი სრულიად ახალი რეალობა. მაგალითად ის, რომ კონსტიტუციური უმრავლესობის მსგავსიც აღარაფერი აქვს „ქართულ ოცნებას“, ეს ერთი და მეორე, უპრეცედენტოდ მაღალი იყო იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც არ დაიზარეს, მივიდნენ და წაშალეს ორივე. სხვა დროს ხდებოდა ხოლმე, რომ ასეთი ხალხი სახლში რჩებოდა. ახლაც დარჩა ნახევარი, მაგრამ ის, რომ პირველ და მეორე ტურში 100 ათასამდე ადამიანმა არ დაიზარა, მივიდა და გადახაზა ორივე, ეს ძალიან ნიშანდობლივი იყო.

ამან გააჩინა ახალი ძალის, ე.წ. მესამე ძალის მოლოდინი. თუმცა რატომ მესამე, ვერ გავიგე. ახლა ჩვენ ვხედავთ მცდელობას, რომ ყველას მესამეობა უნდა და ამდენი მესამე აღარ გამოვა.

***– რა არ გამოვა?***

– 3%-იანი ბარიერი იქნება, ყველას იმედი აქვს, რომ ასე თუ ისე გადალახავს და ეს მესამე ძალები იქნება დიდი რაოდენობით.

***– ჭრელი იქნება 2020 წლის პარლამენტი. ამის თქმა გინდათ?***

– არც ისე ჭრელი, რადგან ეს ორი ძალა ისევ რჩება ძირითად ობიექტებად, ნაციონალური მოძრაობა და „ოცნება“ და დანარჩენი იქნება ის პარტიები, ვინც 3%-იან ბარიერს გადალახავს.

***– გაერთიანებული ოპოზიცია ვადამდელ არჩევნებსა და საარჩევნო კანონში ცვლილებებს ითხოვს. რამდენად არის შესაძლებელი ამ ყველაფრის მოსწრება 2020-მდე და რამდენად აწყობს ხელისუფლებას ვადამდელი არჩევნები?***

– ამის მოსწრება შესაძლებელია სავსებით. მთავარი ალბათ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა და კოდექსის შეცვლაა. თუ ეს საკითხი იქნება მიღწეული, რიგგარეშე არჩევნები ამის შემდეგ გახდება აქტუალური, მაგრამ ხელისუფლებას ხომ ვატყობთ ქცევასა და გამომეტყველებაზე, რომ არაფრის შეცვლას არ აპირებს.

რომც გადაწყვიტოს „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ ეს ცვლილება, მაჟორიტარები ამის საშუალებას არ მისცემენ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თავის დროზე, როცა ამის შანსი იყო, ნაციონალები რომ მიბრძანებულიყვნენ სხდომაზე, მით უმეტეს, რომ „ოცნება“ იძახდა, ჩვენ მზადა ვართო, მაშინ ეს მიღებული იქნებოდა. ასე რომ, თავის თავს უნდა დააბრალონ, სხვას ვერავის დააბრალებენ.

ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით დიდი ცვლილებები არ მოხდება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამისთვის არ უნდა ვიბრძოლოთ.

***– ვადამდელ არჩევნებზე რას იტყვით?***

– ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა ამ სისტემითა და ამ საარჩევნო კოდექსით არაფრის მომცემი არ იქნება.

***– ისევ „ოცნებისთვის“ იქნება ხელსაყრელი?***

– არა, „ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებს ყველა ვარიანტში წააგებს. ვინც წამგებია, ის აგებს ნებისმიერი სისტემის პირობებში. ნაციონალები 2012-ში თავად აკონტროლებდნენ ყველაფერს, მაგრამ წააგეს. ასევე „ოცნებამ“ პირველი ტური პირწმინდად წააგო.

***– პირწმინდად?***

– დიახ, პირწმინდად. რატომღაც ანგარიშობენ მარტო ვაშაძე-ზურაბიშვილის შედეგებს და, ამავე დროს, იგივე ხალხი იძახის, რომ ევროპული საქართველო არის იგივე ნაციონალური მოძრაობა. მეც ვეთანხმები მათ და მაშინ გამოდის, რომ 47:39 მოუგია პირველი ტური ნაციონალურ მოძრაობას, ანუ წააგო პირწმინდად.

სრულ სურათს თუ დავდებთ და მთლიან ოპოზიციას გავაერთიანებთ, „ოცნებამ“ წააგო 62:39 ოპოზიციასთან, მაშინ როდესაც მის ხელში იყო ყველაფერი. ამიტომ 2020-ში ყველა შემთხვევაში წააგებს „ოცნება“.

თუ ეყოფა ჭკუა, რომ შეცვალოს სისტემა და საარჩევნო კოდექსიც, ჩაეთვლება, რომ დემოკრატიული ნაბიჯი გადადგა და შეიძლება, მეტი შანსი გაუჩნდეს არჩევნებზე, მაგრამ ისინი ასეთ პარადოქსულ ლოგიკას კი არა, მარტივ ლოგიკასაც ვერ ითვისებენ ხოლმე და ასეთი ტიპის ლოგიკა მათთვის სრულიად უცხოა.

***– ივანი შვილმა პირობა დადო, რომ სერიოზული ცვლილებები გატარდება მომდევნო ერთ წელიწადში. უმრავლესობაში კი აცხადებენ, რომ საკადრო ცვლილებაც კი არ იგეგმება.***

– არ იქნება არანაირი სერიოზული ცვლილებები. შეიძლება, დიდი-დიდი, პრემიერი შეცვალონ გაზაფხულზე. არანაირ ცვლილებებს ივანიშვილი არ ჩაატარებს, უფრო ზუსტად, ვერ ჩაატარებს, რადგან ის გახდა მძევალი ამ თავისი გარემოცვის, როგორც ყველა მისი წინამორბედი მანამდე.

***– შესაძლოა, ბახტაძე გახარიამ ჩაანაცვლოს?***

– დიახ, რა თქმა უნდა.

***– „ოცნება“ 2020 წლის არჩევნებს წააგებსო, აცხადებთ, მაშინ გამოდის, რომ დიდი შანსები აქვს გაერთიანებულ ოპოზიციას, უფრო ზუსტად, ნაცმოძრაობას?***

– ოპოზიციამ ამ არჩევნებზე დიდი უპირატესობა აჩვენა. მეორე ტური ხელისუფლებამ დიდი გაჭირვებით სერიოზული მობილიზებისა და გაყალბების ფონზე მოიგო. ეს ვალების ჩამოწერაც სერიოზული მოსყიდვა იყო. თუ ასე უნდოდათ ეს, მანამდე უნდა გაეკეთებინათ.

ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა გაიფართოვოს ბაზა და მყარი გარანტია მისცეს ხალხს, რომ არ განმეორდება ის უმსგავსობები, რომლებიც ახლდა მის მმართველობას თავის დროზე. საპრეზიდენტოში მათ ვერ დააჯერეს ხალხი. ამ ფონზე კიდევ ძალიან ბევრი ხმა აიღეს.

***– ინაუგურაცია მშვიდად ჩაივლის?***

– მე ვფიქრობ, კი. იქნება საპროტესტო გამოსვლა, მაგრამ – სერიოზული გართულებების გარეშე. ნაციონალების ადგილზე მე საერთოდ თავს დავანებებდი, ვნახეთ, რომ უკვე დათმეს, გაერიდნენ თბილისს. მეტი რა უნდათ, მოწინააღმდეგემ დათმო პოზიცია და გავიდა ქალაქიდან, როგორც რუსებმა დატოვეს მოსკოვი ნაპოლეონის დროს. ეტყობა, ნაციონალებს თავიანთი ტაქტიკა, ამოცანები და შეხედულებები აქვთ.

***– რამდენად აზარალებს ნაცმოძრაობას მიხეილ სააკაშვილი და მისი განცხადებები?***

– ამასაც მედალივით ორი მხარე აქვს. სააკაშვილი მშვიდად როცა გამოდის, დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს. ის ნიჭიერი კაცია, მოდი, ამას ნუ დავუკარგავთ. თუმცა მისი ეს გამოხდომები სრულიად დაუკავშირებელია აქაურ რეალობასთან, რევოლუციაზე ლაპარაკი და ასე შემდეგ.

ამ მედლის მეორე მხარე კი ის არის, რომ ამ გაერთიანებულ ოპოზიციას დიდი უმრავლესობა სწორედ სააკაშვილის გამო უჭერს მხარს. ამიტომ ოპოზიცია ასე მარტივად ვერ მოხსნის სააკაშვილის საკითხს. უბრალოდ, მათი ამოცანაა, რომ როგორმე შეაკავონ მისი არაადეკვატური განცხადებები. სააკაშვილის ჩაჩოჩება არ გამოვა.

# ჯელალ ქიქავა გაერთიანებულ ოპოზიციაზე ნაწყენია

შორენა მარსაგიშვილი

**ხელისუფლების წარმომადგენლები აშკარა მუქარაზე გადავიდნენ. ისინი ოპონენტებს ჰპირდებიან, რომ მათ ცხვირში მოხვდებათ. ამ მხრივ თავი განსაკუთრებით აჭარის მთავრობის მეთაურმა თორნიკე რიჟვაძემ გამოიჩინა. მან პირობა დადო, რომ პირადად იძიებდა შურს.**

**„აჭარის მთავრობის მეთაური საკონტროლო გასროლით დამემუქრა და თანაგუნდელებმა არ დამიცვეს“**

შურისძიების განწყობაზე ყმაწვილკაცი ოპოზიციონერმა ჯელალ ქიქავამ დააყენა. ქიქავამ რევოლუციაზე საუბრისას 2017 წელს ბათუმში მომხდარი არეულობა გაიხსენა. მან ის პერიოდიც გაიხსენა, როცა აჭარა თურქებს ჰქონდათ მიტაცებული. ქიქავამ თქვა, რომ აჭარლები მშვიდობიანი ხალხია და ისინი ქუჩაში მაშინაც კი არ გამოცვენილან, როცა დამპყრობელი ქართველ ქალებს აუპატიურებდა.

თორნიკე რიჟვაძემ ეს აჭარლების შეურაცხყოფად ჩათვალა და შურისძიებით დაიმუქრა. ჩვენთან საუბარში ქიქავა ამბობს, რომ მას აჭარლების შეურაცხყოფა არც კი უფიქრია.

ელოდება თუ არა რიჟვაძისგან ანგარიშსწორებას, როგორ აპირებს თავის დაცვას, რატომ გაემიჯნა გაერთიანებულ ოპოზიციას? – ამის შესახებ ჯელალ ქიქავა „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– ბოლო დღეებში ხელისუფლების წარმომადგენლები აშკარა ძველბიჭობაზე გადავიდნენ, ოპონენტებს პირდაპირ ასე მიმართავენ – ცხვირში მოგხვდება, შურს ვიძიებ. თქვენი აზრით, რა ხდება, რამ გაამწარა და გადარია ეს ხალხი?***

– არაფერიც არ ხდება, ეს არის ქოცების ბუნებრივი მდგომარეობა. მათგან მსგავსი განცხადებები არ გვიკვირს. თქვენ ის უნდა ნახოთ, რანაირი საუბრის მანერა აქვს რიჟვაძეს. ასე ლაპარაკობს: ჩემი დედა, სიმონ..... ამის შვილი ვიყო, სიმონ...

კაცი ასე რომ ლაპარაკობს, იმისგან რატომ გიკვირთ, რომ გაიძახის, შურს ვიძიებო.

***– ოპონენტებს პირადი შურისძიებით ასლან აბაშიძე თუ ემუქრებოდა? მის სისასტიკეზე ლეგენდები დადიოდა.***

– ასლანის დაუძინებელი მტერი ვიყავი, მაგრამ შურისძიებით არასდროს დამმუქრებია არც მე და არც სხვას. არადა, სამაგიეროს გადახდა შეეძლო, ამის ერთი ადგილი ნამდვილად ჰქონდა. იმხელა ჰქონდა ეგ ადგილი, რამხელაც რიჟვაძეა მთლიანად.

ასლანას დამუქრება არ გოუბედია, მაგრამ მოვიდა, სახლი დამირბია და მანქანა დამიმტვრიეს.

***– არც სახლის დარბევა და მანქანის დამტვრევაა კარგი ამბავი.***

– კარგი როგორ არის. ასლანი სამაგიეროს გადაგიხდიდა, მაგრამ საჯაროდ არასდროს დაგემუქრებოდა. პირიქით აკეთებდა.

***– რას აკეთებდა პირიქით?***

– თეატრში კრებდა ხალხს და იქ ოპონენტებზე ამბობდა, ჩემი ნათესავია, ჩემი მეგობრის შვილიაო.

„ოცნებამ“ სულ სხვანაირი ხალხი დასვა ხელისუფლებაში. ადამიანს ბიბლიოთეკის მმართველის დონე არა აქვს და ამხელა რეგიონის მართვა რანაირად უნდა ჩააბარო.

არც მე და არც სხვა ოპონენტები შარზე კი არ ვართ, როცა ვიძახით, რომ ასეთი ხალხის მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა არ შეიძლება.

***– მოდით, ჩვენი საუბრის მთავარ თემას დავუბრუნდეთ. რიჟვაძე მიიჩნევს, რომ თქვენ აჭარლებს შეურაცხყოფა მიაყენეთ და ამიტომ დაგემუქრათ შურისძიებით.***

– აჭარლებს შემევევლე მე, რაის შეურაცხყოფა მივაყენე. ეს ამგენმა მოიგონეს. რაზეც ახლა შარი ამიტეხეს, ეგი მანამდე ხუთჯერ მაინც მაქვს ნათქვამი. და ვინც ახლა რაღაცებს ყვირის, შემეჯიბროს აჭარლობაში.

ან ვინ ატეხა ამბავი? მაყვირლების 90% ბოტები იყვნენ. ამ ბოტებს ხელისუფლება ოპონენტების წინააღმდეგ იყენებს.

***– აჭარის რეგიონში მცხოვრებლები როგორ შეხვდნენ თქვენს განცხადებას?***

– არავისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია და რატომ ეწყინებოდათ. თან იმგენმა იციან ჩემი საუბრის მანერა. „ოცნებამ“ ეს ხელზე დაიხვია, ამბავი ატეხა და შეეცადა, ხალხის ყურადღება სხვა თემებზე გადაეტანა.

***– სხვა თემებზე ხალხის ყურადღების გადატანა რაში სჭირდებათ?***

– რაში და ეშინიათ. ხომ ხედავ, როგორ ზეიმობენ არჩევნების შედეგებს – ტრუსიკიანა შავები აცვიათ.

***– შავები რატომ აცვიათ?***

– იციან, რაც მოუვათ, არ არიან ისეთი ბებრები, არ ახსოვდეთ, რა მოხდა 2003 წელს.

***– ვარდების რევოლუციას გულისხმობთ?***

– მაგას ვგულისხმობ და ეგ რევოლუცია სწორედ არჩევნების გაყალბებას მოჰყვა. ამ ეტაპზე არაფერი შეიცვლება. არც 16 დეკემბერს დაგეგმილი აქცია შეცვლის რამეს. ეს ყველაფერი სისულელე მგონია და მაგიტომაც არ წავალ მაგ აქციაზე.

***– იმიტომ არ მიდიხართ, რომ არაფერი შეიცვლება?***

– არ მივდივარ იმიტომ, რომ ლიჩნად მე გუნდმა არ დამიცვა.

***– სად არ დაგიცვათ?***

– რიჟვაძის განცხადებაზე არ ჰქონიათ რეაქცია. არადა, აჭარის მთავრობის მეთაური შურისძიებითა და საკონტროლო გასროლით დამემუქრა.

თქვენ გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებისგან რაიმე განცხადება გაიგონეთ? მე არაფერი გამიგია.

***– მურმან დუმბაძემ საფუძვლიანად დაგმო რიჟვაძე.***

– მურმან დუმბაძე ჩემი მეგობარია, ეკუთვნოდა ამ განცხადების გაკეთება და გააკეთა.

***– ამ მუქარასთან დაკავშირებით სამართალდამცავებს არ მიმართეთ?***

– რა აზრი აქვს, რომ მივმართო? რამდენიმე თვის წინ ქოცების 12 ზონდერმა მცემა და ვინ აგო ამაზე პასუხი.

***– გაემიჯნეთ გაერთიანებულ ოპოზიციას?***

– გამიჯნული არა ვარ? მაგრამ 16 დეკემბრის აქციაში მონაწილეობაზე თავს ვიკავებ. იმ ხალხთან როგორ მივიდე, რომელმაც არ დამიცვა.

***– იქნებ გამორჩათ თქვენს თანამებრძოლებს რიჟვაძის განცხადება?***

– რას ჰქვია, გამორჩათ? ხომ ნახეთ, რამხელა აჟიოტაჟი მოჰყვა ამას? სახალხო დამცველმა ატეხა ერთი ამბავი. ჟურნალისტებმა პრემიერს ჰკითხეს ჩემ შესახებ.

გაერთიანებულ ოპოზიციას არც თაკო ჩარკვიანზე თავდასხმაზე ჰქონდა სათანადო რეაქცია. დასკვნა ერთია – ეგენი ვერ იცავენ გუნდს.

***– რიჟვაძის განცხადების შემდეგ თუ გქონდათ ლიდერებთან საუბარი?***

– არა და არც ვაპირებ.

***– გამოდის, რომ მარტო რჩებით. ამ მწვავე განცხადებების შემდეგ როგორ დაიცავთ მარტო თავს?***

– მთელი ცხოვრება სულ მარტო ვიცავდი თავს, არავის დაცვა არ მჭირდება. ერთი რამე შემიძლია ვთქვა და ასე დაწერეთ პირდაპირ – მიხეილ სააკაშვილი რომ იტყვის, შემოვდივარ ქვეყანაში და დამხვდითო, რა ადგილსაც დაასახელებს, იქ დავხვდები.

***– გამოდის, რომ გაერთიანებულ ოპოზიციასთან აღარ ხართ.***

– ასე გამოდის. ეს ისინი არ მთვლიან მე თავიანთი გუნდის წევრად. რომ ჩავეთვალე, რაღაცას მაინც იტყოდნენ.

მაგათ გამო მე ბევრი განცხადება მაქვს გაკეთებული. აკლებული ჰქონდათ ქოცებს ქვეყანა, ნაცები კაცებს აუპატიურებდნენო. ისეთი რამეები ვთქვი ამ თემაზე ტვ პირველის ეთერში, მის მერე ქოცები გაუპატიურებაზე ხმას ვერ იღებენ.

ჩემ დასაცავად თუ არ ამოიღეს ხმა, მეც აღარ ვიტყვი არაფერს. არავისთან შესატენი არა მაქვს, იქით შემეტენოს ყველა.

## „თუ ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობა არ შეიზღუდება, მოსახლეობა რამდენიმე ბანკის მძევალი გახდება“

სადაზღვევო ინდუსტრიის 12 წარმომადგენელი მთავრობას მიმართავს. კომპანიების წარმომადგენლები ამბობენ, რომ კონკურენციის შესახებ კანონი ბანკებზეც უნდა გავრცელდეს. ასევე ცნობილია, რომ ერთობლივ განცხადებას ხელი ოთხმა სადაზღვევო კომპანიამ არ მოაწერა. ესენია: „თიბისი დაზღვევა“, „ქართუ დაზღვევა“, „ჰუალინგ დაზღვევა“ და იმედი-L. რატომ გახდა ეს საკითხი დღეს აქტუალური და რამ განაპირობა სექტორში მსგავსი ტიპის პრობლემების არსებობა, აღნიშნულ თემაზე „კომერსანტს“ „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ დამფუძნებელო არჩილ მორჩილაძე ესაუბრა:

– სადაზღვევო ინდუსტრია ბანკებისთვის სადაზღვევო სფეროში აქტივების ფლობის შეზღუდვას ითხოვს. რატომ გახდა ეს პრობლემა დღეს აქტუალური სადაზღვევო ინდუსტრიისთვის და აქამდე რატომ არ აყენებდით ასე მწვავედ ამ საკითხს?

– სადაზღვევო ინდუსტრია ბოლო 20 წელიწადია ელოდება ამ სფეროს განვითარებას. სახელმწიფოს მხრიდან უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ, დაიწყო საზღვრებზე ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა, ინერგება საჯარო ობიექტებისა და აგროდაზღვევის პროდუქტები. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ავტომფლობელთა სავალდებულო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემოღებაა, რაც ერთ-ერთი ევროდირექტივაა და ქვეყანამ 2020 წლამდე უნდა შეასრულოს.

სანამ ეს კანონი შემოვა, თუ დამოუკიდებელ სადაზღვევო კომპანიებს არ მიეცათ კონკურენტულ გარემოში ოპერირების საშუალება, ჩვენი მოსახლეობა ისევ აღმოჩნდება რამდენიმე ძირითადი ბანკის დაზღვევის ან მასთან აფილირებული სადაზღვევო კომპანიის მძევალი (ვგულისხმობ, როგორც ფასის სიდიდეს, ასევე სერვისის ხარისხს).

– სადაზღვევო ინდუსტრიის განცხადების საპასუხოდ „თიბისი ბანკმა“ და „საქართველოს ბიზნესასოციაციამაც“ დააფიქსირა პოზიცია, რომ კონკურენციის კანონი ბანკებზე არ უნდა გავრცელდეს. თქვენი პოზიცია როგორია? რა არგუმენტები არსებობს ამის საპირისპიროდ?

– „საქართველოს ბიზნესასოციაციის“ პოზიცია ბანკების სასარგებლოდ დაფიქსირდა. არ მინდა ვიფიქრო, რომ ამის მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ ამ ორგანიზაციის ყველაზე დიდი დონორები ბანკები არიან. ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი განცხადებით, ბიზნესასოციაცია ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 0.5 %-ის ვიწრო ფინანსურ ინტერესს იცავს.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ გვესმის საბანკო სფეროს მნიშვნელობა და მისი ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში. მაგრამ თიბისი ბანკის განცხადება, რომ მათზე კონკურენციის კანონი არ უნდა გავრცელდეს, არის უპრეცედენტო. ისინი თვლიან, რომ არაკონკურენტულ გარემოშიც კი მათი სერვისით მომხმარებელი მხოლოდ მოიგებს. ეს ცხადია, მთლიანად ეწინააღმდეგება ყველანაირ წარმოდგენას საბაზრო ეკონომიკაზე. ვფიქრობ, ასეთ მიდგომაზე შეფასება, სწორედ, მომხმარებელმა უნდა გააკეთოს. რა მდგომარეობაც დღეს გვაქვს საპროცენტო განაკვეთებისა თუ სახელშეკრულებო ურთიერთობების სფეროში ბანკსა და კლიენტს შორის, ზუსტად ეს შედეგი დადგება დაზღვევაშიც.

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა დოვლათის გადანაწილების კუთხით სავალალოა (პოსტსაბჭოთა სივრცეშიც კი ყველაზე ცუდი) და საჭიროებს რადიკალურ ცვლილებას. მკვლევართა აზრით, სწორედ დოვლათის გადანაწილების ე.წ. ჯინის ინდექსის მაჩვენებელია მჭიდრო კავშირში სოციალური მღელვარებასთან (სოციალ უნრესტ). ჯინის ინდექსი საქართველოში 0.42 ია და ეს მაჩვენებელი მიანიშნებს შემოსავლების ისეთ უთანასწორო გადანაწილებას, რომელმაც შესაძლოა საზოგადოების მღელვარება გამოიწვიოს. ეს პრობლემა ასახულია საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში. ბიზნესასოციაციის წარმომადგენლებს ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ და ხელს უნდა უწყობდნენ ასეთი მდგომარეობის გამოსწორებას.

– რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?

– აქ ლიდერის როლი სახელმწიფომ უნდა იკისროს, აუცილებელია ქვეყნის განვითარების იმ ფორმით დაგეგმვა, რაც ქვეყანაში დოვლათის განაწილების კუთხით, მდგომარეობას გააუმჯობესებს. დღეს სადაზღვევო სექტორისთვის უმთავრესია კონკურენტული გარემოს შექმნა, რათა ბანკებთან აფილირებულ თუ არააფილირებულ ყველა კომპანიას მიეცეს თანაბარ პირობებში ოპერირების საშუალება. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ჩვენ არ ვითხოვთ რაიმე პრეფერენციას.

ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს ის ვითარება, რომელიც დღეს არის შექმნილი ბანკების დომინანტური მდგომარეობის კუთხით, გამოიყენოს წარმატებული ქვეყნების მაგალითები და რაც შეიძლება მალე შეცვალოს კანონმდებლობა.

**„კომერსანტი“**

## გიორგი მარგველაშვილი: „ივანიშვილთან მუშაობა მომწონდა. კარგი იქნება, თუ პრემიერად დაბრუნდება. ამით, როგორც ერთ სიმღერაშია, „დამთავრდება უხერხული ღიმილი“

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ კარგი იქნება, თუ ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაბრუნდება.

როგორც მარგველაშვილმა სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა, მასთან უცხოელ პარტნიორებს არაერთხელ დაუსვამთ საკითხი თუ ვინ მართავს ქვეყანას და რა სახელმწიფო მოწყობაა. მისივე თქმით, კითხვის ნიშნები, რომელიც მმართველობასთან დაკავშირებით არსებობს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, ივანიშვილის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დაბრუნებით მოიხსნება.

– ამის თაობაზე, მე თავიდანვე ვსაუბრობდი, როდესაც გიორგი კვირიკაშვილი წავიდა თანამდებობიდან, რომ ადეკვატური იქნებოდა პარტიის ლიდერი და ადამიანი, რომელიც მიაჩნიათ ერთმნიშვნელოვნად ლიდერად, უნდა დაბრუნდეს და აიღოს პასუხისმგებლობა. რაც ახლა ხდება და რაც კითხვის ნიშანს ბადებს სახელმწიფოებრიობის მიმართ, გახდებოდა გასაგები. ჩემთან ჩვენს პარტნიორებს არაერთხელ დაუსვამთ კითხვა თუ რა სახელმწიფო მოწყობა გვაქვს. იციან საპრეზიდენტო რესპუბლიკები, მონარქიები და ა.შ. თუმცა ეს მოწყობა არც ერთ სახელმწიფო სისტემაში არ არის აღწერილი. ეს კითხვის ნიშანს აჩენს საქართველოს მიმართ. ჯერ ასეთი სახელი ამ სისტემისთვის არ არის მოგონილი. კარგი იქნება თუ ივანიშვილი დაბრუნდება, ამით როგორც ერთ სიმღერაშია – „დამთავრდება უხერხული ღიმილი“. გარდა ამ ყველაფრისა, მე მიმაჩნია, რომ ივანიშვილი ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი ლიდერია და მასთან მუშაობა ნამდვილად მომწონდა, – განაცხადა მარგველაშვილმა.

# ირაკლი მენაღარიშვილი: „საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებით 2008 წლის ომის აცილება შესაძლებელი იყო“

## „რუსეთს ყალბი ილუზია აქვს. მის განცხადებებს დასავლეთი ანგარიშს უწევს“

იაგო ნაცვლიშვილი

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნისა და ნატოს გენერალური მდივნის განცხადებები საქართველოს ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერაზე პროვოკაციულია.**
**რუსეთის საგარეო უწყება იმასაც ამბობს, რომ ასეთმა უპასუხისმგებლო გზავნილებმა 2008 წლის აგვისტოში თბილისი წააქეზა დანაშაულებრივი სამხედრო ავანტიურისკენ.**

არის თუ არა რუსეთის ეს განცხადება მუქარა საქართველოსთან მიმართებით და რა ნაბიჯები უნდა გადადგას დასავლეთმა ამის აღსაკვეთად? – ამ თემაზე „ახალი თაობა“ საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრა.

***– რუსეთის საგარეო უწყებამ განცხადება გაავრცელა, სადაც უწყება პროვოკაციულს უწოდებს საქართველოს ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით აშშ-ის სახელმწიფო მდივნისა და ნატოს გენერალური მდივნის მხარდამჭერ განცხადებებს. რა შეფასება შეიძლება მიეცეს ამას?***

– ერთადერთი, შეიძლება ითქვას ის, რომ რუსეთი დაჟინებით აგრძელებს თავის დესტრუქციულ სტრატეგიას. მისი ამოცანაა, ხელი შეუშალოს ყველა შესაძლო მეთოდით პოსტსაბჭოთა სივრცის ინტეგრირებას ცივილიზებულ სამყაროში. მიზნად აქვს დასახული თავისი ექსკლუზიური გავლენის აღდგენა და გაძლიერება ამ სივრცეზე. ამიტომაც არის მისთვის მიუღებელი საქართველოს დაახლოება ევროპულ სივრცესთან. იგულისხმება როგორც ევროკავშირთან თანამშრომლობის ინტეგრაცია და გაღრმავება, ისე ნატოში საქართველოს გაწევრიანება.

ის ამას ცდილობს ყველა გზით, მათ შორის პოლიტიკური განცხადებებითაც. რა თქმა უნდა, ისინი არ გაუშვებენ ხელიდან შესაძლებლობას, რომ ეს მათი დესტრუქციული პოზიცია განაცხადონ. სამწუხაროა, მაგრამ რუსეთს აქვს სრულიად უსაფუძვლო და ყალბი ილუზია, რომ მათ განცხადებებსა და მოთხოვნებს ვინმე ანგარიშს უწევს.

***– არ არის ეს ასე?***

– ერიდებიან რუსეთის გაღიზიანებას, იმიტომ, რომ მაინც ბირთვული სახელმწიფოა, მაგრამ მისი შეფასება სიტუაციისა უკვე კარგა ხანია ღიმილს იწვევს ხოლმე. ეს უკეთეს შემთხვევაში.

***– ამავე განცხადებაში ისინი იხსენებენ 2008 წლის პერიოდსაც და ამბობენ, რომ წაახალისეს მაშინაც ქართული მხარე ასეთი მხარდაჭერებით. ხომ არ არის ეს სახიფათო გზავნილი რუსეთის მხრიდან და ეს მუქარადაც ხომ არ უნდა აღვიქვათ?***



– ასეთი განცხადებები სულაც არ არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენ ფრთხილად ვიყოთ. ფრთხილად უნდა ვიყოთ ყველა შემთხვევაში, როცა საქმე გაქვს რუსეთთან, მით უმეტეს, რომ მისი შეიარაღებული ძალები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზეა განლაგებული და თან – დიდი რაოდენობით.

ისე, 2008 წელი ნიშანდობლივი მაინც არის სწორედ იმ აზრის საწინააღმდეგოდ, რასაც რუსული პროპაგანდა ამტკიცებს. 2008 წელს დასავლეთს უფრო კეთილგონიერი და თამამი ნაბიჯი რომ გადაედგა ბუქარესტის სამიტზე, შეიძლებოდა, 2008 წლის აგრესია თავიდან აცილებული ყოფილიყო.

***– ანუ 2008 წელი დასავლეთისთვის დამაფიქრებელი უნდა იყოს?***

– უდავოდ. არაერთი პოლიტიკური ფიგურა და ანალიტიკოსი ამბობს დღესდღეობით, რომ 2008 წელს დიახაც შეცდომა იყო დაშვებული რუსეთის ზეწოლის პირობებში. მაშინ რუსეთის დამშვიდების მიზნით, უკრაინას და საქართველოს მაპ-ის მინიჭებაზე უარი უთხრეს. შედეგი სრულიად საწინააღმდეგო მივიღეთ. რუსეთმა გაბედა და გააკეთა ის, რაც 2008 წელს გააკეთა. დაიწყო ფართომასშტაბიანი აგრესიული მოქმედება. მისი მიზანი პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის აღდგენა გახლავთ.

თავიდანვე რომ აღდგომოდა დასავლეთი მის ასეთ მიდგომას წინ, აღეკვეთა ის ჩანასახში, სრულიად შესაძლებელია, დღეს მდგომარეობა სხვანაირი ყოფილიყო.

***– დასავლეთი დღეს გაცილებით თამამია და შესაძლოა, მიიღოს უფრო თამამი გადაწყვეტილება?***

– უფრო თამამი და გაბედული რომ არის, ფაქტია. მაშინ რუსეთის მუქარის შეძახილზეც კი რეაქცია მისცეს, ახლა რუსეთი დასავლეთის ეკონომიკური სანქციების ქვეშ არის და მისი ეკონომიკის მდგომარეობა დღეს კარგად მოგეხსენებათ. ამიტომ, დღეს სიტუაცია შეცვლილია, მაგრამ ეს ჯერ საკმარისი არ არის.

დასავლეთის მცდელობა საკმარისად მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ, როდესაც მას მოჰყვება რუსეთის მიერ ხელის აღება აგრესიაზე და სიტუაცია შეიცვლება საქართველოშიც და უკრაინაშიც.

***– მაპ-ის საკითხიც ხომ არ იქნება გზავნილი?***

– უდავოდ. ვნახოთ, როგორ წავა საქმე, მაგრამ დასავლეთი დღეს გაცილებით უფრო საღად და ფხიზლად უყურებს ამ საქმეს. თუმცა, სრული ერთსულოვნება იქ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

***– ჩვენც ხომ არ გვაქვს გასაძლიერებელი კიდევ უფრო მეტად დიალოგი?***

– უდავოდ. რა მდგომარეობაც არ უნდა იყოს, თავის დამშვიდება, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და ახლა დასავლეთმა გადადგას ნაბიჯი, არასწორი იქნებოდა. ჩვენ ყველა შემთხვევაში უნდა ვეძებოთ დამატებითი რესურსები, შესაძლებლობები, მიდგომები, გზები, რათა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად იყოს გამონახული.

***– ე.წ. საზღვრებზე მუდმივად ხდება ადამიანების გატაცება. ეს განიხილება ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში, მაგრამ შედეგი არ ჩანს.***

– ჟენევის მოლაპარაკების ფორმატში მოსაზრებების გაცვლის შესაძლებლობა არის, მაგრამ ეს არ არის ის ფორმატი, რომ კონკრეტული გადაწყვეტილებები იყოს. ამის მიღების პერსპექტივას მე ვერ ვხედავ. აქაც ერთადერთი მეთოდი დასავლეთის მხრიდან რუსეთზე ზეწოლაა. ეს არის ერთადერთი მეთოდი, რათა რუსეთის თავგასულობა აღკვეთოს.

***– ანუ ისევ და ისევ დასავლეთთან დიალოგი უნდა გავაძლიეროთ?***

– რა თქმა უნდა. სხვანაირად შედეგი არ იქნება. მე მგონი, კარგა ხანია დავინახეთ, რომ რუსეთს უკვე სხვა ენა არ ესმის, გარდა ძალისმიერი ზემოქმედებისა. რუსეთს აქვს განსაზღვრული კონკრეტული მიზანი, რაც ჩვენ ინტერვიუს დასაწყისში აღვნიშნეთ და ყველაფერს აკეთებს ამ მიზნის მისაღწევად. მზად არის ამისათვის გადაიხადოს საკმაოდ მაღალი ფასი.

მას ძალიან ძვირი უჯდება ასეთი თავგასული პოლიტიკა, მაგრამ, ხომ ხედავთ, რომ ჯერჯერობით პუტინი იხდის ამ ფასს. ეს არის რუსეთის ეკონომიკური დაუძლურება. ეს არის სოციალური მდგომარეობის დაძაბვა ქვეყნის შიგნით, მაგრამ ისინი ჯერჯერობით ამ მსხვერპლზე მიდიან. ამიტომ საჭიროა ფასის აწევა, რომ ეს მიუღებელი გახდეს მათთვის.

***– ფიქრობთ, რომ ეტაპობრივად შედეგის მიღწევა მაინც შესაძლებელია?***

– რა თქმა უნდა. ერთი ნახტომით, რაც არ უნდა ძლიერი ღონისძიება იყოს, რუსეთის მსგავს პარტნიორთან შედეგის მიღწევაზე ფიქრი უაზრობაა. მას სჭირდება სერიოზული, განუწყვეტელი და თანმიმდევრული ზეწოლა, რაც, ბოლოს და ბოლოს, გაგებამდე უნდა მივიდეს, ანუ იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებამდე, რაც ცივილიზებულმა მსოფლიომ დიდი ხანია გაიგო, რომ ძალმომრეობით წარმატების მიღწევა არ შეიძლება.

## უცხოელებს, რომლებიც ქართულ მიწებს არ ამუშავებენ, შესაძლოა, ქონება ჩამოერთვათ

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საკუთრებაში არსებულ მიწებს არ ამუშავებენ, შესაძლოა, უძრავი ქონება ჩამოერთვათ. აღნიშნულის შესახებ აგრარულ საკითხთა კომიტეტის

თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს მიწის ფონდის ძალიან მცირეა, საიდანაც დაახლოებით, 45-50 ათას ჰექტრამდე უცხოელების საკუთრებაშია.

– უბედურება ის კი არ არის, რომ უცხო ქვეყნის სუბიექტმა დაირეგისტრირა მიწა საკუთრებაში, პრობლემა ის არის, რომ ამ მიწის საკუთრების უფლებას არანაირი ვალდებულება არ ჰქონდა. შესაძლოა, რამდენიმე ათასი ჰექტარი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკუთრებაში, რომელსაც არანაირი ვალდებულება არ ახლავს და

საერთოდ არ დამუშავებულა. საკომიტეტო მოსმენებამდე არ მინდა რამე შეფასება მივცე, მაგრამ ამ მიმართულებით, სანქციებსაც განვიხილავთ. მათ შორის, შესაძლოა, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ექსპროპრიაცია განხორციელდეს. რა თქმა უნდა, ამ საკითხს საქართველოს მოქალაქეებიც სერიოზულად უნდა მოეკიდონ. ჩვენ მათ მიმართაც მკაცრი მიდგომები გვექნება, მაგრამ, არა ისეთი, როგორიც უცხოელების მიმართ. მოკლედ რომ შევაფასოთ, ერთი მხრივ, გვექნება შეღავათები მათთვის, ვინც დაამუშავებს მიწებს, ხოლო ვინც არ დაამუშავებს, მათ მიმართ მკაცრი სანქციები იარსებებს, – განაცხადა დანელიამ.

## მიხეილ სააკაშვილი: „მარგველაშვილი შევიდა იმ სასახლეში, რომელიც მე ავაშენე, მან კი მოქალაქეობა ჩამომართვა“

ერთადერთი, რითიც გიორგი მარგველაშვილი ისტორიაში შევა, ეს არის ჩემთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა.

ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ გიორგი მარგველაშვილის 5-წლიანი პრეზიდენტობის შეფასებისას განუცხადა.

მიხეილ სააკაშვილი გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდს „ერთ დიდ გაუგებრობად“ აფასებს.

– სინამდვილეში, მისი პრეზიდენტობა ერთი დიდი გაუგებრობა იყო იმიტომ, რომ ერთადერთი, რითიც ამ კაცმა ხალხს თავი დაამახსოვრა, არის ის, რომ შევიდა იმ სასახლეში, რომელიც მე ავაშენე, იღებდა ხელფასს იმ ბიუჯეტიდან, რომელიც მე საქართველოს დავუტოვე, დადიოდა იმ კონფერენციებზე, სადაც საქართველოს გზა-კვალი მე გავუკაფე და მოქალაქეობა ჩამომართვა. ერთადერთი, რითიც ის ისტორიაში შევა, ეს არის ჩემთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა. თუკი მის გაკეთებულს რამე სხვას გაიხსენებთ, რასაც შეიძლება ისტორიაში ადგილი დაეთმოს, თქვენთვის მომინდია.სინამდვილეში, დაკარგა კრიტიკულად მნიშვნელოვანი 5 წელიწადი, მათ შორის პრეზიდენტის ინსტიტუტის. არა მგონია, წინდების ქსოვა და კარტოფილის მოყვანა ისტორიაში შესვლის ღირსი იყოს, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

## სალომე ზურაბიშვილი: „გუნდს მომდევნო კვირაში დავაკომპლექტებ“

საქართველოს არჩეული პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი თავის გუნდს მომავალ კვირაში დააკომპლექტებს.

სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებთან ინაუგურაციასთან დაკავშირებითაც ისაუბრა და განაცხადა, რომ გარკვეული დეტალები კიდევ არის დასაზუსტებელი. ზურაბიშვილს არ დაუკონკრეტებია, რომელი უცხოელი სტუმარი ჩამოვა ინაუგურაციაზე და განმარტა, რომ სტუმართა სია საგარეო უწყების პროტოკოლს აქვს.

– კიდევ არის რაღაცები დასაზუსტებელი. მე მგონი, ბოლოსკენ გავდივართ. ცხადია, ახლა დეტალებს არ გაგაცნობთ, იმიტომ, რომ ეს უნდა იყოს ყველასთვის ერთდროულად სანახავი და ამის საშუალება ყველას ექნება. რამდენადაც შევძელით, იქნება სისადავე. რაც შეეხება გუნდს, იქით კვირას დავაკომპლექტებ. დავიწყებთ ოფიციალურ შეხვედრებს. ჯერ არ ვარ პრეზიდენტი და არ მაქვს უფლებამოსილება, რომ ოფიციალურად შევთავაზო ადამიანებს პოსტი, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

## რომან გოცირიძე მელია-ინაშვილის დაპირისპირებაზე: „კიდევ კარგი, საათი ესროლა და არა ქოში“

ნიკა მელიას ქალბატონი თავს დაესხა, კიდევ კარგი, საათი ესროლა და არა ქოში, – ამგვარად გამოეხმაურა ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე 12 დეკემბერს პარლამენტში მომხდარ ინციდენტს.

მისი თქმით, ნიკა მელია „ქართული ოცნების“ თავდასხმის მსხვერპლია.

– ყველა კონფლიქტი, რაც მოხდა, იყო „ქართული ოცნების“ ბრალი. გუშინ ნიკა მელიას გამოსვლა მკაცრი, პრინციპულ, ხმამაღალ ტონალობაში იყო. პარლამენტის ამ მიმართულებით არაფერს ზღუდავს. ერთი დეპუტატი ფინიასავით შეუჩნდა, მეორე უკან ტურასავით მოეპარა და ხედავდით, ბრჭყალების ჩავლება როგორ უნდოდა და ვერ მოახერხა. თუ ჩანაწერებს ნახავთ, ნიკა მელია არის „ქართული ოცნების“ თავდასხმის მსხვერპლი. ადამიანი გამოდის, არ აცდიან. ერთი უყვირის, მეორე უბრახუნებს. საბოლოო ჯამში ქალბატონი თავს დაესხა და კიდევ კარგი საათი ესროლა და არა ქოში. მეორე დეპუტატს, რომელსაც თავი გმირი ჰგონია და მარჯანიშვილზე ამაყობს ქუჩაში დგომით, უკნიდან მიეპარა, როგორც ლომს ტურები მიეპარებიან ხოლმე, – განაცხადა გოცირიძემ.

# რუსეთის მთავრობა ლუგარის ლაბორატორიის დისკრედიტაციას ცდილობს

## დეზინფორმაციაC ჰეპატიტის წარმატებული პროგრამის წინააღმდეგ

ბიოლოგიური იარაღის დამზადება, საშიში ვირუსების გავრცელება, სახიფათო მწერების დივერსიული მიზნებით გამოყენება და ხალხის მოწამვლა – ამ ყველაფერს, უკვე წლებია, რუსეთის ხელისუფლება და მისი მედია თბილისში, ამერიკელების მიერ აშენებულ ლუგარის ლაბორატორიას – ბიოუსაფრთხოების მე-3 დონის (BSL-3) სტანდარტებით აღჭურვილ ლუგარის ცენტრს აბრალებს. ყველა ამ ინფორმაციას რომ დავუჯეროთ, საქართველოში ცოცხალი უკვე აღარავინ უნდა იყოს. რუსეთის ხელისუფლებასა და მის მაამებელ მედიასაშუალებებს, რომლებიც რესპონდენტებად, ძირითადად კომიკურ პერსონაჟებს იყენებენ, არაფრით უნდათ იმის დაჯერება, რომ ლუგარის ლაბორატორია მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებს ემსახურება.

რუსეთის პროპაგანდა არ ცხრება, მიუხედავად იმისა, რომ ლუგარის ლაბორატორიაში სხვადასხვა დროს, არაერთ რუს მეცნიერსაც უმუშავია და მოსკოვმა სხვა გზებითაც კარგად იცის, რომ ამერიკელი და ქართველი სპეციალისტები ამ ცენტრში ადამიანისა და ცხოველის დაავადებათა გამომწვევი მიკროორგანიზმების აღმოჩენას, ამოცნობასა და ეპიდემიებთან ბრძოლის ეფექტიანი გზების დასახვას ემსახურებიან.

2018 წლის 4 ოქტომბერს, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირებს ჰქონდათ მცდელობა, მორიგი დეზინფორმაცია გავრცელებინათ, შეცდომაში შეეყვანათ მოქალაქეები და რუსული თანაგრძნობის ცნობილი პოლიტიკით, შიში დაეთესათ რეგიონში. თანამდებობის პირები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ თითქოს გარდაიცვალა 73 ქართველი მას შემდეგ, რაც მკვლევარებმა C ჰეპატიტის მკურნალობის კურსის ფარგლებში, „ტოქსიკური ნივთიერება“ გამოიყენეს. ეს რუსეთის მთავრობის მიერ, ამ თემით მანიპულირების პირველი შემთხვევა არ არის. აღნიშნული ქმედება მიმართულია ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ და ამ კამპანიას ჯერ კიდევ მას შემდეგ ახორციელებს, რაც 2013 წელს ლაბორატორია გაიხსნა.

ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება ემთხვევა ხოლმე ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციის ყოველწლიურ ასამბლეას. ვისთვისაც უჩვეულო არ არის რუსეთის მხრიდან „თითის გამოშვერის“ ტაქტიკა, გასაკვირი არც ის იქნება, რომ საეჭვოდ, ბრალდებების მთელ რიგს არ ამყარებს მტკიცებულებები.

რაც შეეხება უკანასკნელ პერიოდში გაჟღერებულ ბრალდებებს, რუსმა მეცნიერებმაც კი „შეუძლებელი“ უწოდეს მათ და ასევე განაცხადეს, რომ ეს გაუთავებელი ფაბრიკაცია ზიანს აყენებს სამეცნიერო სფეროს.

მთავრობის მიზნების მისაღწევად რუსეთი მიუღებელ ტაქტიკას იყენებს, რაც დიდი ხანია აღარ არის შოკისმომგვრელი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის (კიბერთავდასხმის მცდელობა ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციაზე, სერგეი და იულია სკრიპალების მოწამვლის ფაქტი, შვიდი ჯაშუშის დაკავება აშშ-ში და ა.შ). საერთაშორისო თანამეგობრობას არც რუსეთის მსხვერპლის პოზიციაში ყოფნა აკვირვებს, თუმცა, ამ შემთხვევაში, ნამდვილი მსხვერპლი ჩვენი ხალხია – ის ადამიანები, რომლებიც ჩ ჰეპატიტით არიან ინფიცირებულები და მკურნალობის გარეშე დარჩებიან, თუკი რუსი მაღალჩინოსნები მიაღწევენ საწადელს და ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და მისი მსგავსი დაწესებულებები, დაიხურება.

ლუგარის ლაბორატორიაში განმარტავენ, რომ ყველაფერი მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება. აქ ტარდება დიაგნოსტიკური კვლევები და მათ შორის –C ჰეპატიტის სწრაფი ტესტით დადგენილი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით. შესაბამისად, ლუგარის ცენტრს დიდი როლი ეკისრება C ჰეპატიტის აღმოფხვრაში, საქართველოში მიმდინარე მასშტაბური პროექტის ფარგლებში.

ბრალდებები იმის თაობაზე, რომ მკვლევარებს მოქალაქეების ორგანიზმში შეჰყავთ ლეტალური ნივთიერებები, წარმოადგენს კიდევ ერთ რუსულ ტყუილს, რომლის მიზანსაც ცენტრის გენერალური დირექტორის, ამირან გამყრელიძის თქმით, „საქართველოს ერთ-ერთი, ყველაზე წარმატებულიC ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის დისკრედიტაცია“ წარმოადგენს. როგორც ამირან გამყრელიძე აცხადებს, „ყველა ის ინფორმაცია, რომელიც რუსეთის ოფიციალური, თუ ჟურნალისტური წრეებისა და მასმედიის საშუალებებით ვრცელდება, არის მტკნარი სიცრუე და არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს მიმართულია ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროგრესისა და ინოვაციების წინააღმდეგ. ეს მხოლოდ პოლიტიკური სპეკულაციაა. სინამდვილეში, ლუგარის ლაბორატორია გახლავთ მაღალი დონის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სამეცნიერო კვლევითი ცენტრი რეგიონში და აქვს მრავალმხრივი დანიშნულება. პირველ რიგში, ის მიმართულია ადამიანთა სხვადასხვა ინფექციური დაავადებების დროული დიაგნოსტიკისა და გამომწვევი აგენტების იდენტიფიცირებისკენ. ლაბორატორიას აქვს რეგიონული დატვირთვა, რამეთუ აქ ტარდება ზოგი ისეთი ექსკლუზიური კვლევა, რომელიც მხოლოდ ამ ლაბორატორიისთვის არის ხელმისაწვდომი“.

მაშ, რა სურს რუსეთს? – რუსეთს სურს, რომ ჩაგვინერგოს შიში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის მიმართ და აქტიურად ცდილობს, დაბრკოლება შეუქმნას ჩვენი ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და მეზობლებს, რომლებსაც დახმარებას უწევს ცენტრი. ცენტრს არაფერი აქვს საერთო ადამიანებზე ცდების ჩატარებასთან – რუსეთის მთავრობის მიზანია, ფეხი მოიკიდოს საქართველოში საბაბით, თითქოსდა, ცდილობს „დაიხსნას“ ჩვენი ქვეყანა იმ კრიზისიდან, რომელსაც თავად ქმნიდა აქტიურად, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ის იყენებდა რუსული ფარმაცევტული კომპანიების პროდუქციას, რუსული ჯიბეების „გასქელების“ მიზნით.

ამასთან, ცნობილია, რომ რუსეთის დუმის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გენადი ონიშენკომ განაცხადა, რომ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი დაკავშირებული იყო კომპანია „ინვიტროსთან“ და პასუხისმგებელია რუსეთში, 2013 წელს, ღორის აფრიკული ცხელების ეპიდემიაზე. „ინვიტროს“ ერთ-ერთი, ყველაზე დიდი კონკურენტია „როსპოტრებნადზორი“ – კომპანია, რომლის დირექტორი 2010 წლამდე, ონიშენკო იყო და, დიდი ალბათობით, დღესაც ის კომპანიის ერთ-ერთ მეწილეს წარმოადგენს. შესაბამისად, მის ინტერესებში უნდა შედიოდეს კონკურენტის დისკრედიტაცია.

„ლუგარის ლაბორატორია“ თბილისში მდებარე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრია. ის ქვეყნის დაავადებათა ლაბორატორიული ქსელის უმაღლესი დონის დაწესებულებაა, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის რეფერალური ლაბორატორიაა. კვლევითი ცენტრი საქართველოში, ამერიკის მთავრობის დახმარებით შეიქმნა და ყოფილი სენატორის, რიჩარდ ლუგარის სახელს ატარებს. ის სრულად საქართველოს მთავრობის საკუთრებაშია.

ლუგარის ცენტრი არის უმაღლესი დონის დიაგნოსტიკური დაწესებულება, რომელიც იკვლევს სხვადასხვა საშიშ ინფექციურ დაავადებას, მათ შორის, ჰეპატიტებსაც, მაგრამ მისი ფუნქცია არ არის ამ მიმართულებით ცდების ჩატარება.C ჰეპატიტის მკურნალობის შედეგები კი არა მხოლოდ მკურნალობის ხარისხზე, არამედ მკურნალობის დაწყების მომენტისთვის, ადამიანის ჯანმრთელობასა და ღვიძლის დაზიანების მდგომარეობაზეც არის დამოკიდებული.

მსოფლიოში C ჰეპატიტთან დაკავშირებული ღვიძლის დაავადებებით წელიწადში 400.000 ადამიანი იღუპება. საქართველოში, რომლის მოსახლეობაც 3.7 მილიონს არ აღემატება, ამ მხრივ არაერთი პროგრამა განხორციელდა და ის ახლა ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად მიიჩნევა.

„დაავადებათა კონტროლის ცენტრისა“ და „ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის“ მიერ, 2015 წლის მაის-აგვისტოში Cატარებული გამოკითხვის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 150.300 მოქალაქეC-დადებითი იყო. წარმატებული პროგრამების შედეგად, 2015-17 წლებში, ინფიცირებული 36.012 მოქალაქიდან კი 24 481 განიკურნა. ამდენად, ჩვენ არ უნდა ავყვეთ რუსეთის მიერ რეგიონში წამოწყებულ თამაშებს, გამომდინარე იქიდან, რომ ეს საფრთხეს უქმნის ჩვენი მოქალაქეებისა და ოჯახების სიცოცხლეს.

**ნინო ბაჯელიძე**

# აკადემიკოსთა არჩევნები „ოცნების“ სტილში

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის შენობიდან აკადემიკოსების არჩევნებთან დაკავშირებით „ხმაური“ გამოდის. აღმოჩნდა, რომ აკადემიკოსთა უკმაყოფილება არასამართლიანი არჩევნებითაა გამოწვეული.

ადგილი აქვს პროტექციონიზმს და, როგორც ამბობენ, აკადემიკოსად გაყვანა სურთ იმ ძმაკაცი კომუნისტების, რომელთანაც ერთად აშენებდნენ კომუნიზმს და შევარდნაძის გადადგომამდე, თავიანთი კარიერისტული მიზნებიდან გამომდინარე, წარმატებით ანგრევდნენ ქვეყანას. ამ მიზნით პრეზიდენტმა განყოფილებებში განხილვის გარეშე თვითონ შეარჩია იმ სპეციალობების ვაკანსიები, რომლებზეც კონკურსი არ იქნებოდა და ადვილად გაიყვანდა აკადემიკოსებად თავის ძმაკაცებს. თუ ზოგიერთ სპეციალობებზე გაუმართლა და თავის „ჯილებს“ კონკურენტი არ ჰყავთ, სხვა სპეციალობებზე კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

საგზაო-სატრანსპორტო სისტემების სპეციალობით მის „ჯილას“ თამაზ შილაკაძეს ახალგაზრდა ოთარ გელაშვილი უპირისპირდება; საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში 77 წლის ომარ გოგიაშვილისთვის გათვალისწინებულ ერთ ადგილზე 6 კონკურენტია. დემოგრაფიის სპეციალობით 70 წელს მიტანებულ ვაჟა ლორთქიფანიძისთვის გათვალისწინებულ ადგილზე ძლიერი კონკურენტის სახით ა. სულაბერიძე მოევლინათ და ა.შ.

სწორედ ამის გამოა აკადემიიდან გამოსული ხმაური მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმიდან. აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნუგზარ ალექსიძემ მოხსნა კონკურსიდან კანდიდატურა არასამართლიანი არჩევნების გამო. აკადემიკოსი რომან (რომა) შაქარაშვილი, ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების წევრი (ცნობილი ექიმი), ასევე ხმამაღლა აპროტესტებს აკადემიის წევრად ზოგიერთი კანდიდატის პროტექციასა და მის არჩევას აკადემიკოსად.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების მე-3 თავის მე-2 პუნქტის თანახმად, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე, მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში“.

სწორედ ამ პუნქტის დარღვევას უკავშირებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მიმდინარე აკადემიკოსთა არასამართლიან არჩევნებს პროფესორი ალფრედ კურატაშვილი, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს 465 მეცნიერული შრომა, მათ შორის უცხოეთშიც. მან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში (ხელმძღვანელი აკადემიკოსი როინ მეტრეველი) შექმნილ საარჩევნო კომისიას ოფიციალურად წარუდგინა საჩივარი მოთხოვნით, რომ მოეხსნათ კონკურსიდან ის კანდიდატები, რომელთაც არ გააჩნდათ საერთაშორისო აღიარება, ანუ არ ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებზე და არ ჰქონდათ გამოქვეყნებული სტატიები და მეცნიერული შრომები საერთაშორისო მეცნიერულ ჟურნალებში, რომ აღარაფერი ვთქვათ მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებზე.

როგორც ჩანს, მეცნიერთა საერთაშორისო აღიარებას მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ფასი არა აქვს. მთავარია გავლენა და ძმაკაცები!

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შექმნილ არასამართლიან საარჩევნო გარემოზე კულუარებში საუბრობენ არა მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმში, არამედ მის გარეთაც, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ და სხვა უნივერსიტეტებში.

როგორც ამბობენ, მეცნიერული დამსახურების ნაცვლად მათ აქვთ „ოცნებაში“ გავლენა და მრავლად არიან მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, რომლებიც ეცდებიან უკანა კარიდან მათ შეყვანას აკადემიკოსებად აკადემიაში.

იმასაც ამბობენ, რომ „ურჩ“ აკადემიკოსებზე მიდის ზეწოლა „ძმაკაცების“ აკადემიკოსებად ასარჩევად.

რას იზამ, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აკადემიკოსთა კომუნისტურ-პროტექციონისტული არჩევნების სტილს „ოცნება“ აგრძელებს და დაპირებული სამართლიანობის აღდგენა ჯერ კიდევ მირაჟზეა.

**ზურაბ ქობალია**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

# გიორგი ქობულია: „საპენსიო რეფორმის გადავადებას არ ვაპირებთ“

ეკონომიკის მინისტრ გიორგი ქობულიას განცხადებით, მთავრობა საპენსიო რეფორმის გადავადებას არ აპირებს. საკითხი ბოლო პერიოდში საპენსიო რეფორმის მიმართ კერძო სექტორის მიერ გამოთქმულ უარყოფით შეფასებებს და რეფორმის გადავადებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს ეხება.– საპენსიო რეფორმის გადავადებას არ ვაპირებთ. რეფორმა ისე შევა ძალაში, როგორც ეს დაგეგმილია, – აღნიშნა ქობულიამ.

შეგახსენებთ, მთავრობა 2019 წლის პირველი იანვრიდან ქვეყანაში ნაწილობრივ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ამოქმედებას გეგმავს. დაგროვებითი პენსიის კანონი პარლამენტმა 21 ივლისს მიიღო. სისტემის ამოქმედების შემდეგ მოქალაქეების მიერ დაზოგილ თანხას სპეციალური საპენსიო ფონდი განკარგავს, აღნიშნულ ფულს გარკვეულ საპროცენტო განაკვეთს დაარიცხავს და მოქალაქეებს ამ თანხას პენსიაზე გასვლის შემდეგ დაუბრუნებს. რეფორმა მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის ტვირთის ბიუჯეტიდან მოქალაქეებზე გატანას ისახავს მიზნად და ის საკმაოდ გრძელვადიან პერიოდს (40 წელი და მეტი) ეხება.

საპენსიო სქემაში ავტომატურად ჩაერთვება ყველა მოქალაქე, ვინც ანაზღაურებას გაფორმებული კონტრაქტის შედეგად იღებს. სისტემა ნაწილობრივ სავალდებულო პრინციპით მოქმედებს. 40 წელზე უფროსებს არჩევანი ექნებათ, გაწევრიანდნენ თუ არა სისტემაში, 40 წლამდე პირებს კი დაზოგვის ვალდებულება გაუჩნდებათ. საპენსიო სქემა ეხება დასაქმებულს, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს.

მთავრობა 2019 წლის პირველი იანვრიდან ქვეყანაში ნაწილობრივ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ამოქმედებას გეგმავს. დაგროვებითი პენსიის კანონი პარლამენტმა 21 ივლისს მიიღო. სისტემის ამოქმედების შემდეგ, მოქალაქეების მიერ დაზოგილ თანხას სპეციალური საპენსიო ფონდი განკარგავს, აღნიშნულ ფულს გარკვეულ საპროცენტო განაკვეთს დაარიცხავს და მოქალაქეებს ამ თანხას პენსიაზე გასვლის შემდეგ დაუბრუნებს. რეფორმა მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის ტვირთის ბიუჯეტიდან მოქალაქეებზე გატანას ისახავს მიზნად და ის საკმაოდ გრძელვადიან პერიოდს (40 წელი და მეტი) ეხება.

საპენსიო რეფორმა გულისხმობს, რომ ყოველთვიურად დასაქმებულის ხელფასის 6% უნდა შევიდეს საპენსიო ფონდში, საიდანაც 2%-ს დაფარავს სახელმწიფო, 2%-ს – დამსაქმებელი, 2%-ს კი – თავად დასაქმებული.

# პროკურორი: „მოწმემ დეტალურად მოყვა, როგორ გადასცა გიორგი გიორგანაშვილს ნარკოტიკი“

## ადვოკატი: „მოწმე იტყუება“

გუშინ, 13 დეკემბერს, გიორგი გიორგანაშვილის სასამართლო გაიმართა.

– მოწმემ დეტალურად მოყვა, თუ როგორ წავიდნენ თურქეთში, როგორ შეხვდა გიორგი გიორგანაშვილს და როგორ გადასცა ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ზურგჩანთაში ედო, – განაცხადა საქმის პროკურორმა ირინე ჩოჩიამ.

როგორც ის აღნიშნავს, სახელმწიფო ბრალდებას სხვა მტკიცებულებებიც მოეპოვება, რომლებიც გიორგანაშვილის თურქეთის ტერიტორიაზე ყოფნას ადასტურებს.

– ეს იყო ორგანიზებული ჯგუფი, მათ ჰქონდათ როლები განაწილებული, რაც შეეხება გიორგანაშვილის როლს, პირდაპირი მოწმე, რომელთანაც მას უშუალო კონტაქტი ჰქონდა, არის მოწმე, რომელიც დღევანდელ სასამართლო სხდომაზე დაიკითხა.

ჯაბა ხულორდავამ გამოძიებას მიუთითა, რომ სწორედ გიორგი გიორგანაშვილი შეხვდა თურქეთის ტერიტორიაზე. იმავე დღეს გიორგანაშვილი საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებით გადაადგილდებოდა, – განაცხადა ჩოჩიამ.

ის არ ეთანხმება დაცვის მხარის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, მთავარმა მოწმემ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებისგან განსხვავებული ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს.

პროკურორის განმარტებით, ხულორდავასთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებით კანონსაწინააღმდეგო არაფერი მომხდარა.

– მოწმე ჯაბა ხულორდავა ერთხელ არის დაკითხული და მან გამოძიებას ის ინფორმაცია მიაწოდა, რაც დღეს სრულად დაადასტურა. მათ შორის, ის გარემოება, რომ ირაკლი ქორიძემ დააწყებინა მას მუშაობა კატასტროფის მედიცინის ცენტრში რეანიმობილის მძღოლად, რისი მიზანიც იყო შენიღბული გზით მოეხდინათ ორგანიზება ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში შემოტანის. როცა ეს მისთვის ცნობილი გახდა, ეს სქემა დაგეგმილი და ორგანიზებული იყო. კერძოდ, ის ნაწილი, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მას გიორგანაშვილი შეხვდებოდა და გადასცემდა ნარკოტიკულ საშუალებებს.

მოწმემ დეტალურად მოყვა, თუ როგორ წავიდნენ თურქეთში, როგორ შეხვდა გიორგი გიორგანაშვილს და როგორ გადასცა ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ზურგჩანთაში ედო, ამოიღო ცელოფნის პარკი, რომელშიც მოთავსებული იყო ქილა, რომელშიც ეყარა აბები. სწორედ ამ ქილით არის ამოღებული შემდგომში ეს ნარკოტიკული საშუალებები რეანიმობილიდან.

საპროცესო შეთანხმება ნებისმიერ პირთან ფორმდება, რომელიც გამოთქვამს სურვილს, აღიარებს, ინანიებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. ეს გარემოება, რომ პირთან, რომელიც დღეს სასამართლოში დაიკითხა, გაფორმებულია საპროცესო შეთანხმება, რაიმე კანონსაწინააღმდეგოს არ გულისხმობს. მას საკმაოდ მკაცრი სასჯელი განესაზღვრა იმ ბრალდებისთვის, რაც ბრალად ჰქონდა წარდგენილი, – აღნიშნა პროკურორმა ჩოჩიამ.

❖ ❖ ❖

– გიორგი გიორგანაშვილი ამბობს, რომ თურქეთში ჯაბა ხულორდავას არ შეხვედრია, ხულორდავა იტყუება. შესაბამისად, მისთვის არც ჩანთიდან გადაუცია ნარკოტიკული საშუალება. ამის მტკიცებულება საქმეში არ არსებობს, – განაცხადა გიორგი გიორგანაშვილის ადვოკატმა გიორგი მახარაძემ.

მისი აზრით, მოწმე, რომელიც მსახიობს ხელს ადებს ნარკოტიკული საშუალების მისთვის გადაცემაში, იტყუება. ადვოკატის თქმითვე, მოწმე დარიგებული იყო და ისაუბრა ის, რაც გამოძიებას აწყობდა.

– მოწმემ ურთიერთგამომრიცხავი ფაქტები განაცხადა, რომლებიც მის წინა ჩვენებებს და რეალობას აბსოლუტურად აცდენილია. რასაც ის ამბობს გიორგი გიორგანაშვილთან დაკავშირებით, არის ტყუილი.

მან თქვა, რომ გიორგანაშვილმა ზურგჩანთიდან ამოიღო ნარკოტიკული საშუალება და გადასცა.

ასევე დაადასტურა, რომ მასთან ციხეში გამომძიებელი იყო შესული იმის გამო, რომ მოწმედ უნდა დაებარებინათ. სასამართლოში გამოცხადება უწყებით ხდება და იქ გამომძიებელს არაფერი ესაქმებოდა. ცხადი იყო, რომ მოწმე დარიგებული იყო და ის ისაუბრა, რაც გამოძიებას აწყობდა, – აღნიშნა მახარაძემ.

ადვოკატის განმარტებით, ბრალდების მხარის ერთ-ერთი მთავარი მოწმე გიორგი გიორგანაშვილს ხელს იმის გამო ადებს, რომ მას საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა.

– მთავარი ისაა, რატომ ადებს ეს პირი გიორგანაშვილს ხელს. წინა საქმის მიმდინარეობისას, ამ ჩვენების მიცემის შემდეგ გაუფორმდა მას საპროცესო შეთანხმება ძალიან ხელსაყრელი პირობებით, 15-დან 20 წლამდე, ან უვადოს ნაცვლად, მას 7 წელით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. ამას წინ ჩვენების 4-ჯერ შეცვლა უსწრებდა.

ხულორდავა ამბობს, გიორგანაშვილს ხელთათმანი ეკეთაო, ჩხრეკისას ხელთათმანი ამოღებული არ არის. ქურთუკზე ამბობს, გრძელი ეცვაო, მოკლე ეცვა, საერთოდ არაფერი ემთხვევა და ვერც დაემთხვევა ტყუილი სიმართლეს, – დასძინა ადვოკატმა.

შემდეგი სასამართლო სხდომა 17 დეკემბერს, 11:30 საათზე ჩაინიშნა. აღნიშნულ საქმეზე განაჩენი დეკემბრის ბოლომდე უნდა დადგეს, რადგან გიორგანაშვილს 9-თვიანი საპატიმრო ვადა ეწურება.

ნარკოდანაშაულში მსჯავრდებულ ბახალას შსს-მ მიმდინარე წლის 2 აპრილს ბრალი დაუმძიმა. გიორგანაშვილს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 262-ე მუხლებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანის ფაქტზე.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში გიორგი გიორგანაშვილს 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# გორში „გორმედის“ დაცვა ცემეს

გორში სამედიცინო ცენტრ „გორმედის“ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს თავს რამდენიმე მოქალაქე დაესხა და სცემა.

როგორც „გორმედის“ თანამშრომლები პირად საუბრებში აცხადებენ, დაცვის თანამშრომელს უცნობი პირები ფიზიკურად მას შემდეგ გაუსწორდნენ, რაც მათ თანამშრომლის ტელეფონის ნომრის მიცემაზე უარი უთხრა. თავდამსხმელები დაცვის სამსახურის იმ თანამშრომლის ნომერს ითხოვდნენ, რომელსაც კლინიკაში პაციენტის ნახვის სურვილი მისულ ქალთან შელაპარაკება მოუხდა.

„გორმედის“ დაცვის სამსახურის დაშავებულ თანამშრომელს სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს, ის მკურნალობის კურსს ამ დრომდე გადის.

ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. მასალა შსს თანამშრომლებმა უკვე ამოიღეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ნიუპოსტს განუცხადეს, რომ იდენტიფიცირებულია ერთი პირი, ის ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. მომხდარზე გამოძიება 126-ე მუხლით გრძელდება.

# გორში დედამთილმა რძალი ცემა

გორის რაიონული პროკურატურა 38 წლის ქალს ყოფილი დედამთილის ცემაში ადანაშაულებს. მიუხედავად იმისა, რომ მხარეები ერთი ოჯახის წევრები აღარ არიან, ქალს გირაო ოჯახური ძალადობის მუხლით შეუფარდეს.

ბრალდებულს ადვოკატი, სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ ჰყავს.

პროკურატურის მტკიცებით, 1980 წელს დაბადებული ქალი გორში, საცხოვრებელ სახლში, ყოფილ დედამთილთან ერთად იმყოფებოდა, ისინი საყოფაცხოვრებო ნივთებზე კამათობდნენ, კამათი ურთიერთშელაპარაკებაში გადაიზარდა, რომლის დროსაც რძალმა დედამთილს რამდენჯერმე გაარტყა ხელი.

შემთხვევა 2018 წლის 6 აგვისტოს მოხდა.

12 დეკემბერს გორის რაიონულ სასამართლოში სასამართლო პროცესი გაიმართა. ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში პირი ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე, ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

# წყნეთის „წისქვილში“ მაღალჩინოსანმა გიორგი ყანჩაველს იარაღი შუბლზე დაადო და გასროლით ემუქრებოდა




წყნეთში, რესტორან „წისქვილში“ მომხდარი სისხლიანი გარჩევის ოფიციალური ვერსია შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოქმედ და ყოფილ მაღალჩინოსნებზე განხორციელებული თავდასხმისთვის ძებნილი გიორგი ყანჩაველის ოჯახი დუმილს არღვევს და აცხადებს, რომ ინციდენტის პროვოცირება იუსტიციის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ მოახდინა, რომელიც ყანჩაველს ცეცხლსასროლი იარაღით შუბლზე მიადო და გასროლით დაემუქრა.

პოლიციის მტკიცებით, ყანჩაველმა რესტორანში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე ზვიად მიხანაშვილი, ციხეებზე ზედამხედველობის სამსახურის ორ მაღალჩინოსანი, ჭაბუა გუშარაშვილი და ირაკლი ჭითანავა დანით დაჭრა.

სისხლიან გარჩევას წინ ჩხუბი უძღოდა, თუმცა ხანგრძლივი კონფლიქტისა და საქმის გარჩევის დროს პოლიცია რესტორანში არ მისულა. ირკვევა, რომ ძალოვანი უწყების მაღალჩინოსნებმა სამართალდამცველები თავადვე არ გამოიძახეს.

საპატრულო პოლიციის უფროსმა კურიერს დაუდასტურა, რომ სამართალდამცველები ადგილზე გვიან მივიდნენ. იმ დროს, როდესაც ინციდენტი ამოწურული იყო, თავდამსხმელი გაქცეული, ხოლო დაჭრილები – რესპუბლიკურ საავადმყოფოში კერძო ავტომობილებით გადაყვანილი.

სავარაუდოდ, დანაშაულის ადგილზე მტკიცებულებების განადგურებას ხელი თბილისის პოლიციის ყოფილმა უფროსმა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოქმედმა მაღალჩინოსანმა გიორგი ალადაშვილმა შეუწყო.

ალადაშვილმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება რესტორანში მომხდარი ჩხუბიდან მეორე დღესვე დაწერა.

# მარნეულის ყოფილი მერი თემურ აბაზოვი გამოუშვეს

## მას პატიმრობა 10.000-ლარიანი გირაოთი შეეცვალა

მარნეულის ყოფილი მერი თემურ აბაზოვი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

თემურ აბაზოვს აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გუშინ, 13 დეკემბერს, შეეცვალა.

მარნეულის ყოფილი მერი თემურ აბაზოვი პროკურატურამ 13 ივნისს დააკავა და სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 14 ივნისს შეუფარდა.

მას ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 157-ე მუხლის პირველი პრიმის პირველი და მეორე ნაწილით აქვს წაყენებული, რაც მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას; პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გადაღება-გავრცელების ორგანიზებას გულისხმობს.

კიდევ სამი პირის, ალახვერდიევის, სულეიმანოვისა და გულიევის მიმართ გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ჯგუფურად ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) მიმდინარეობს. ე. გულიევსა და რ. ალახვერდიევს 157-ე მუხლის პირველი პრიმას პირველი და მეორე ნაწილით აქვთ წაყენებული.

# პირს სასაფლაოზე 15.000 დოლარი და 50 აბი სუბოქსინი მოსთხოვეს

## 3 ბრალდებულს 5-5 წელი მიესაჯა

ცემასა და ჯგუფურად ჩადენილ დიდი ოდენობით გამოძალვაში სამი ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, ჯგუფური ცემისა და ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით გამოძალვაში სამი ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2017 წლის 1 ივლისს, გ.გ.-მ, ბ.მ. -მ და ნ.ქ.-მ მათი ნაცნობი თ.კ ზესტაფონის რაიონში მდებარე სასაფლაოს ტერიტორიაზე მიიყვანეს, რომელსაც მათთვის 15.000 ათასი აშშ დოლარის და 50 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ დათქმულ დროს გადაცემა მოსთხოვეს, ხოლო დაშინების მიზნით სამივემ თ.კ.-ს ხელკეტით და ხელებით სცემეს.

სამართალდამცველებმა გ.გ., ბ.მ. და ნ.ქ. 2018 წლის 17 იანვარს ზესტაფონის რაიონში დააკავეს.

გ.გ. – ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული იქნა უკანონოდ შეძენილი ორ ე.წ. ბაშად დაფასებული, დიდი ოდენობით – 0,5354 გრ. ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი.

სამივე პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 11 ნაწილის „ბ“ (ცემა, ჯგუფურად) 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (გამოძალვა ჯგუფურად, დიდი ოდენობით), ხოლო გ.გ.-ს ასევე 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა შენახვა) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გ.გ., ბ.მ. და ნ.ქ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად თითოეულს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ტერეზა მეი პოსტზე რჩება

ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლებმა პარლამენტში შეაგროვეს ხელმოწერები პრემიერ ტერეზა მეისთვის უნდობლობის გამოცხადების მოთხოვნით. 48 დეპუტატმა კონსერვატორული პარტიიდან ამას მხარი დაუჭირა. ამის შემდეგ საბოლოო სიტყვა პარლამენტს უნდა ეთქვა.

კენჭისყრისას დეპუტატების უმრავლესობამ მეის მხარი დაუჭირა. ის პოსტზე დარჩა. თანახმად კანონისა, ერთი წლის განმავლობაში აღარავის აქვს უფლება, მის მიმართ უნდობლობის საკითხი დააყენოს.

– მსურს, დეპუტატებს მხარდაჭერისთვის უღრმესი მადლობა გადავუხადო, – განაცხადა კენჭისყრის შემდეგ მეიმ.

# ტრამპს იმპიჩმენტის არ ეშინია

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადვოკატი კოენი სასამართლოს წინაშე წარდგა. მას 3 წლით პატიმრობა მიესაჯა. პროკურორი 4 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა.

ტრამპის ოპონენტები დემოკრატიული პარტიიდან ცდილობენ, კოენის სასამართლო საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენონ. ისინი უკვე ტრამპის იმპიჩმენტზე ლაპარაკობენ.

თავად პრეზიდენტი სიმშვიდეს ინარჩუნებს.

– მე ხალხმა ამირჩია და იმპიჩმენტის შემთხვევაში ამერიკაში სახალხო ბუნტი დაიწყება, – განაცხადა ტრამპმა.

# სენცოვის წარმომადგენელს სახაროვის პრემია გადაეცა

როგორც ცნობილია, ევროპარლამენტმა უკრაინელი რეჟისორი სენცოვი სახაროვის პრემიით დააჯილდოვა.

სენცოვი რუსეთის ერთ-ერთ ბანაკში სასჯელს შეთითხნილი ბრალდებით იხდის. მას ტერორიზმი დააბრალეს და 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

სენცოვის ნაცვლად ჯილდო მისმა ბიძაშვილმა ნატალია კაპლანმა მიიღო.

თავის სიტყვაში კაპლანმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა. მან განაცხადა, რომ სენცოვი თავისუფლებისთვის იბრძოდა და ამ ბრძოლას ბოლომდე გააგრძელებს.

# ევროპარლამენტი „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ

ევროპარლამენტში გაზპრომის პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შესახებ იმსჯელეს. დეპუტატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ პროექტის შეჩერება მოითხოვა.

– ესაა პოლიტიკური და არა კომერციული პროექტი! მისი რეალიზების შემთხვევაში ევროპა რუსეთის პროტექტორატად გადაიქცევა, – აცხადებდნენ დეპუტატები.

კენჭისყრაზე დეპუტატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მოწოდებას, შეეჩერებინათ პროექტი „ჩრდილოეთის ნაკადი 2“. ამას ხმა 433 დეპუტატმა მისცა, 105 წინააღმდეგ წავიდა.

ამრიგად, რეზოლუცია მიიღეს.



# თურქეთში მატარებელი რელსებიდან გადავიდა — 9 ადამიანი დაიღუპა, 48 დაშავდა

გუშინ, 13 დეკემბერს, თურქეთში, ანკარა-კონიას მიმართულებით მიმავალი ჩქაროსნული მატარებელი რელსებზე მდგომ ლოკომოტივს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად მატარებლის რამდენიმე ვაგონი რელსებიდან გადავარდა.

შემთხვევის შედეგად 9 ადამიანი დაიღუპა, 48 დაშავდა.

ადგილზე სამაშველო სამსახურები იყო მობილიზებული.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ლუდის მწარმოებლებმა ასი წლის ვეტერანი საჩუქრებით აავსეს

ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ მაკმიურეის მცხოვრებმა თავის 101-ე დაბადების დღეზე უხვი საჩუქრები მიიღო საყვარელი ლუდის მწარმოებლებისგან.

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი ენდრიუ სლავონიკი მთელი ცხოვრება ლუდ ჩოორს-ს სვამდა, ხოლო 15 წლის წინ ლუდ Coors Light-ზე გადავიდა. მას შემდეგ ის ყოველდღე ერთ ქილა ლუდს სვამს. თავისი დაბადების დღეს მიცემულ ინტერვიუში მან აღიარა, რომ საკუთარ დღეგრძელობას სწორედ ამ ლუდს უმადლის.

ეს ცნობილი გახდა ლუდის მწარმოებელი კომპანიისთვის, რომელიც სწორედ აღნიშნულ ლუდს აწარმოებს. ფირმამ გადაწყვიტა ერთგული მომხმარებელი დაეჯილდოვებინა და სლავონიკს საჩუქრები გაუგზავნა: მისი საყვარელი ლუდით სავსე მაცივარი, ასევე ქუდები, ჯემპრები და ფეხსაცმელები მისთვის და მისი ახლო ნათესავებისთვის. გარდა ამისა, ის მიიწვიეს კოლორადოში მდებარე კომპანიის შტაბ-ბინაში, ლუდის მწარმოებელ ქარხანაში ექსკურსიისთვის.

ლუდის მოყვარული ვეტერანის შვილის თქმით, მამამისი შოკირებული აღმოჩნდა მის მიმართ ასეთი ყურადღების გამო. ის მეტად კმაყოფილი დარჩა.

# უცნობ გოგონაზე შეყვარებულმა ბიჭმა სამსახური მის მოსაძებნად მიატოვა

ჩინეთის დედაქალაქ პეკინის მცხოვრებმა ყმაწვილმა სამსახური მიატოვა და მთელ დროს წიგნის მაღაზიაში ატარებს იმის იმედად, რომ იქ ისევ შეხვდება გოგონას, რომელსაც ერთხელ შეხვდა და მასთან მისვლა და მისი გაცნობა ვერ გაბედა.

25 წლის ჩინელი სახელად სუნი, უცნობ გოგონას მაღაზიაში სექტემბრის ბოლოს შეხვდა. ის მასთან ვერ მივიდა, ვინაიდან იმ დროს მაღაზიაში სხვა გოგონასთან ერთად იმყოფებოდა. მან იცოდა, რომ მასთან ერთად მყოფ გოგონას ის მოსწონდა და ამიტომ არ სურდა, მას სხვა გოგონას გაცნობით გული სტკენოდა. ამავე დროს, სუნი ირწმუნება, რომ იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, როდესაც მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა, „მათ შორის განსაკუთრებული კავშირი წარმოიშვა“. მას გოგონა პირველივე ნახვით შეუყვარდა და მას იმ ერთადერთად მიიჩნევს.

მას შემდეგ ის მასთან შეხვედრის იმედს არ კარგავს და 11:00 საათიდან 19:00 საათამდე წიგნის მაღაზიაში მორიგეობს. მან ასევე გოგონას პორტრეტი დახატა და ხალხს იმის იმედად ურიგებდა, რომ მათი დახმარებით გოგონას რომელიმე ნაცნობს გადაჰყროდა. სუნი ამტკიცებს, რომ მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ახსოვს თუ არა ის უცნობ გოგონას. მას, უბრალოდ, სურს ის იპოვოს და დაუახლოვდეს.

სუნმა აღიარა, რომ ამისთვის სამსახურიც კი მიატოვა, რადგან მისთვის მუშაობას აზრი არ აქვს, თუ შეყვარებული გვერდით არ ეყოლება. გოგონას მოსაძებნად მან სასამართლოსაც კი მიმართა სარჩელით, რომელშიც საჩივარი იმით დასაბუთა, რომ გოგონა მას „ემოციურ ტანჯვას“ აყენებს. ეს მან იმის იმედით გააკეთა, რომ სარჩელის საფუძველზე პოლიცია გოგონას მოძებნიდა, მაგრამ სასამართლომ მისი საქმის განხილვაზე უარი განაცხადა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# განცხადებები

## სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ფლეი ოფის ბოლო მონაწილეც ცნობილია, იოჰან კრუიფ არენაზე სუპერმატჩი შედგა

## ე ჯგუფი

### აიაქსი-ბაიერნი 3:3

**ამსტერდამი. იოჰან კრუიფ არენა**

**0:1 ლევანდოვსკი (13), 1:1, ტადიჩი (61, 82პ), ლევანდოვსკი (87პ), 2:3 კომანი (90), ტალიაფიკო (90)**

**გაძევება: ვოეგერი (აიაქსი), მიულერი (ბაიერნი)**

აი, რისთვის გვიყვარს ფეხბურთი და რატომ არის სრული სიგიჟე. ვისაც ეს თამაში არ უნახავს, ბევრი დაუკარგავს. ბოლოს ისეთი ბურთაობა გაჩაღდა, მგონი, მსაჯსაც არ უნდოდა შეხვედრის დასრულება. ალბათ, ისიც ლოგიკური იყო, რომ ეს ბურთაობა იოჰან კრუიფ არენაზე შედგა...

ერთმანეთს გოლები კი დააყარეს, მაგრამ გამარჯვებული მაინც ვერ გამოვლინდა. თუმცა, ეს შედეგი უფრო მიუნხენელებს აწყობდათ, რადგან ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდნენ.

ჰო, რობერტ ლევანდოვსკიმ დუბლი შეასრულა და 8 გოლით ჯგუფური ეტაპის ბომბარდირი გახდა.

### ბენფიკა-აეკი 1:0

**ლისაბონი. და ლუზი**

**1:0 გრიმალდო (88)**

**გაძევება: გალანაპულოსი (აეკი)**

არაფრისმომცემ მატჩში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. ეს გასაკვირიც არ ყოფილა, რადგან ბენფიკა გაცილებით უკეთესი გუნდია.

პორტუგალიელებმა საკუთარ გულშემატკივარს პატივი სცეს – 90 წუთის განმავლობაში უტევდნენ და, სანამ არ გაიტანეს, მანამდე არ მოეშვნენ.

| | საბოლოო | | | | ცხრილი: | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 6 | 4 | 2 | 0 | 15:5 | 14 |
| 2.აიაქსი | 6 | 3 | 3 | 0 | 11:5 | 12 |
| 3.ბენფიკა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:11 | 7 |
| 4.აეკი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:13 | 0 |

## ფ ჯგუფი

### სიტი-ჰოფენჰაიმი 2:1

**მანჩესტერი. ეტიჰადი**

**0:1 კრამარიჩი (16პ), 1:1, 2:1 ზანე (45, 61)**

ამ გუნდების პირველ მატჩშიც ანგარიში „სოფლელებმა“ გახსნეს, მაგრამ მაშინ იმდენი მოახერხეს, რომ ქულა მაინც აიღეს. ამჯერად კი სიტიმ მოგება მოახერხა. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც არაფერში სჭირდებოდა.

წაგებით დიდად არც ჰოფენჰაიმს უნერვიულია – გერმანელებმა უკვე იცოდნენ, რომ ეს მათი ბოლო მატჩი წლევანდელ ევროტურნირებზე.

### შახტარი-ლიონი 1:1

**კიევი. ოლიმპიისკი**

**1:0 მორაესი (22), 1:1 ფეკირი (65)**

ერთადერთი შეხვედრა ბოლო სათამაშო დღეს, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფის ბოლო მონაწილე უნდა გამოვლინა. ახლოს იყო შახტარი მერვედფინალში გასასვლელად, ხოლო ქართველი ფეხბურთის ქომაგნი ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე თანამემამულის საგულშემატკივროდ, მაგრამ ასე არ მოხდა.

შახტარი იგებდა, მაგრამ ვერ შეინარჩუნა და ევროპის ლიგაზე გადაინაცვლა...

ლიონი კი უნიკალური გუნდია – ფლეი ოფში მხოლოდ 1 მოგებით გავიდა...

| | საბოლოო | | | | ცხრილი: | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 6 | 4 | 1 | 1 | 16:6 | 13 |
| 2.ლიონი | 6 | 1 | 5 | 0 | 12:11 | 8 |
| 3.შახტარი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:16 | 6 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 6 | 0 | 3 | 3 | 11:14 | 3 |

## ჯ ჯგუფი

### პლზენი-რომა 2:1

**პლზენი. დოუსან არენა**

**1:0 კოვარიკი (62), 1:1 უნდერი (68), 2:1 ჩორი (72)**

**გაძევება: პელეგრინი (90)**

პლზენური გუნდის მეორე სახელი ვიქტორიაა. ეს კი გამარჯვებას ნიშნავს. მართალია, ჩეხური გუნდის მეტოქე ხელწამოსაკრავი სულაც არ ყოფილა, მაგრამ უმოტივაციო იყო, ამიტომაც პლზენს რომაელებთან ვიქტორია არ გასჭირვებია.

### ჩეაღი-ცსკა 0:3

**მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ**

**0:1 ჩალოვი (37), 0:2 შენიკოვი (43), 0:3 სიგურდსონი (73)**

მოხერხება უნდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ბოლო სამგზის გამარჯვებული ჯგუფში ორჯერ დაამარცხო და ჯგუფიდან ვერ გახვიდე. რუსმა არმიელებმა ეს მოახერხეს.

რეალი უმოტივაციო იყო. არც ოპტიმალური შემადგენლობა გაუყვანია მოედანზე, მაგრამ ასეთი მარცხი „შავ ლაქად“ ჩაიწერება გუნდის ისტორიაში.

| | საბოლოო | | | | ცხრილი: | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:5 | 12 |
| 2.რომა | 6 | 3 | 0 | 3 | 11:8 | 9 |
| 3.პლზენი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:16 | 7 |
| 4.ცსკა | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |

## ჰ ჯგუფი

### ვალენსია-მანჩესტერი 2:1

**ვალენსია. მესტალია**

**1:0 სოლერი (17), 2:0 ჯონსი (47სკ), 2:1 რეშფორდი (87)**

მატჩი არაფერს წყვეტდა, მაგრამ ისეთი ფეხბურთი, როგორიც მანჩესტერმა აჩვენა, მათ გულშემატკივრებს არაფერში სჭირდება. ალბათ, კიდევ უფრო მეტი კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდება ჟოზე მოურინიოს, მაგრამ მანჩესტერელთა მწვრთნელს ეს რომ არ ანაღვლებს, მივეჩვიეთ.

მანჩესტერელებმა აჩვენეს, როგორ არ უნდა იყო მოედანზე 90 წუთის განმავლობაში, ვალენსიამ კი პრესტიჟის გამარჯვება მიითვალა და ახლა ევროპის ლიგაზე შეეცდება საკუთარი ქომაგის გახარებას.

### იანგ ბოიზი-იუვენტუსი 2:1

**ბერნი. ვანკდორფი**

**1:0, 2:0 ოარო (30პ, 68), 2:1 დიბალა (80)**

მინორულად დაასრულა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ტურინის იუვენტუსმაც. თუმცა, ჯგუფში პირველ ადგილზე გასასვლელად ამას ხელი არ შეუშლია.

იანგ ბოიზისთვის კი ეს მოგება ისტორიული გამოდგა – ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტმა შვეიცარიულმა კლუბმა ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე პირველი გამარჯვება ჩაიწერა.

| | საბოლოო | | | | ცხრილი: | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:4 | 12 |
| 2.მანჩესტერი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 10 |
| 3.ვალენსია | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| 4.იანგ ბოიზი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:12 | 4 |

## შედეგები

**12 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ვალენსია-მანჩესტერი | 2:1 |
| იანგ ბოიზი-იუვენტუსი | 2:1 |
| აიაქსი-ბაიერნი | 3:3 |
| ბენფიკა-აეკი | 1:0 |
| შახტარი-ლიონი | 1:1 |
| სიტი-ჰოფენჰაიმი | 2:1 |
| რეალი-ცსკა | 0:3 |
| პლზენი-რომა | 2:1 |

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

# ბუდუ ზივზივაძე: „ბომბარდირობა კარგია, გუნდის შედეგმა კი გული დამწყვიტა“

საქართველოს ეროვნული ლიგის 2018 წლის სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გიორგი გაბედავასთან ერთად 22 გატანილი გოლით თბილისის დინამოს თავდამსხმელი ბუდუ ზივზივაძე გახდა.

24 წლის თავდამსხმელი დანიური ესბიერგის კუთვნილებაა და დინამოში იჯარის წესით თამაშობდა. ხელშეკრულებას ვადა წლის ბოლოს უმთავრდება. ზივზივაძე სკანდინავიურ კლუბს დაუბრუნდება. თუმცა, მოარული ხმებით, შესაძლოა, სათამაშოდ ჩეხეთში გადავიდეს.

***– ეროვნული ლიგის ბომბარდირობა გაიყავი. კმაყოფილი ხარ სეზონით?***

– მიხარია, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონემ მოიმატა და ბომბარდირი კიდევ ერთხელ გავხდი. თუმცა, დინამოსთან ერთად ჩემპიონობა ვერ მოვიპოვეთ, მეორე ადგილს დავჯერდით, ეს კი არცთუ დამაკმაყოფილებელი შედეგია.

***– მიმდინარე სეზონის შუაწელს დინამო კაპიტანმა ოთარ კიტეიშვილმა დატოვა. ესეც ხომ არ იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომ დინამო ჩემპიონი ვერ გახდა?***

– მეც და დინამოსაც გაგვიჭირდა კიტეიშვილის გარეშე. ვერ ვიგებდით მნიშვნელოვან თამაშებს და ამან გარკვეულწილად განაპირობა კიდეც ჩვენი მეორე ადგილზე გასვლა. როცა კიტეიშვილი მოედანზე იყო, ყველა მშვიდად გრძნობდა თავს, რადგან ვიცოდით, რომ 1-2 ისეთ მომენტს შექმნიდა, რომელიც მატჩს მოგვაგებინებდა. ჩემთვისაც მასთან ერთად თამაში მნიშვნელოვანი იყო და ვფიქრობ, სეზონის ბოლომდე რომ გუნდში დარჩენილიყო, 22 გოლზე მეტს გავიტანდი.

***– რა შეიცვალა ეროვნულ ლიგაში დანიაში წასვლამდე და წლევანდელ სეზონს შორის?***

– სასიამოვნოა, რომ გულშემატკივარს ყველა მატჩის პირდაპირ ეთერში ნახვა შეუძლია. დონემაც მოიმატა. ვერ ვიტყვი, რომ ტოპ ლიგას მივუახლოვდით, მაგრამ პროგრესი არის. სამწუხაროდ, ინტერესი ისევ დაბალია, კვლავ ცოტა გულშემატკივარი დადის თამაშებზე.

***– დანიური კარიერა ისე ვერ აეწყო, როგორც საჭირო იყო.***

– არავისზე დაბრალებას არ ვიწყებ, ყველაფერი ჩემი ბრალია. მიზეზებს ყოველთვის ჩემს თავში ვეძებ. ალბათ, უცხოეთისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადე. იქ რომ ჩავედი, მწვრთნელი შეიცვალა, თავისი მოთამაშეები მოიყვანა და სათამაშო დრო, ნდობა არ მომეცა სათანადოდ. გინდა თუ არა, მსგავსი ფაქტორები ფეხბურთელზე ყოველთვის მოქმედებს.

***– სათანადოდ მზად არ ვიყავი დანიისთვისო. ახლა ხარ?***

– ახლა ვფიქრობ, რომ იმ შეცდომებს აღარ დავუშვებ და არც ვაპირებ დავუშვა, რაც წინაზე. შემიძლია დავამტკიცო, რომ ფეხბურთის თამაში კარგად გამომდის.

***– დინამოსთან საიჯარო ვადა დეკემბრის ბოლოს ამოგეწურება. დაბრუნდები დანიაში თუ როგორია შენი გეგმები?***

– იანვრიდან კვლავ ესბიერგში ვბრუნდები, რადგან 6-თვიანი ხელშეკრულება დამრჩა. მაქვს სურვილი, წავიდე ისეთ ევროპულ გუნდში, სადაც სათამაშო დრო და მწვრთნელის ნდობა მექნება, ვიდრე დანიაში ჩავიდე, რადგან გუნდი შეკრულია და ჩემი იქ მისვლით არაფერი შეიცვლება.

***– წელს სანაკრებო შეკრებაზე გამოგიძახეს. ბევრი ამბობს, რომ ისეთი ატმოსფერო, როგორიც ახლაა ნაკრებში, არასდროს ყოფილა. შენ რას იტყვი?***

– პირველად როცა გამომიძახეს, შეკრებაზე ეროვნული ლიგის მოთამაშეები ვიყავით და სხვა გარემო იყო. წელს სულ სხვა გარემოში ვიგრძენი თავი, ნაკრების ლიდერები გავიცანი და ძალიან მეგობრული ბიჭები არიან. ისე მიმიღეს, თითქოს, მათთან დიდი ხანია ვთამაშობ. მსგავსი რაღაცები გუნდის შედეგზე ყოველთვის ისახება.

***– ერთა ლიგაზე საქართველოს ნაკრების გამოსვლას როგორ შეაფასებდი და რამ განაპირობა ეს შედეგი?***

– ძალიან დიდი წარმატებაა ის, რომ ევროპის ჩემპიონატთან ასე ახლოს ვართ. ამდენ გამარჯვებას არ იყო ხალხი მიჩვეული, სტადიონზე გულშემატკივრებიც დაბრუნდნენ. მიმაჩნია, რომ წარმატების მიზეზი გუნდის ერთობაა. ნაკრებში ბევრი მოთამაშე უკვე მრავალი წელია ერთად თამაშობს, დებიუტანტები ძალიან ცოტანი არიან და მათი შერევა კარგად ხდება. მწვრთნელის ფაქტორს და ფედერაციის კარგ მუშაობას გამოვყოფ.

# სუპერთასი ქუთაისმა ჩაიბარა

### დინამო-ქუთაისი 67:75

**(10:16, 15:26, 23:17, 19:16)**

საქართველოს სუპერთასის გამარჯვებული საკალათბურთო კლუბი ქუთაისი გახდა. იმერულმა კლუბმა ლეგენდარული ქართველი კალათბურთელისა და მწვრთნელის ოთარ ქორქიას სახელობის ტიტული მოიგო, რომელმაც სუპერლიგის გასული წლის ჩემპიონი დინამო 75:67 დაამარცხა.

ტრადიციულად, სუპერთასის ტიტულისთვის სუპერლიგის ჩემპიონი და საქართველოს თასის მფლობელი ხვდებიან. გასულ სეზონში თასის მფლობელი ქუთაისი გახდა, ჩემპიონობა კი დინამოელებმა მოიპოვეს. ამ გუნდებმა 2018-19 სეზონის ერთ-ერთი პრესტიჟული ტიტული ოლიმპიურ სასახლეში გაითამაშეს.

მატჩი ქუთაისელთა უპირატესობით დაიწყო და პირველი პერიოდის შემდეგ კოტე ტუღუშის გუნდი 16:10 დაწინაურდა. მეორე მეოთხედში ვითარება არ შეცვლილა. იმერულმა კლუბმა უპირატესობა გაიმყარა და დიდი შესვენებისთვის 17 ქულით – 42:25 დაწინაურდა.

თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი ჩანდა, თუმცა დინამოელები არ დანებდნენ, მესამე პერიოდი 23:17 მოიგეს და გადამწყვეტ ათწუთეულში ქუთაისელებს მოსაგებად შეუტიეს. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა გუნდური თამაშის წყალობით ჩამორჩენის 4 ქულამდე აღმოფხვრა მოახერხა, თუმცა ქუთაისელებმა მალევე მიითვალეს გასამარჯვებლად აუცილებელი ქულები და სუპერთასის მოგება გაინაღდეს.

ქუთაისს 14 ქულითა და 11 მოხსნით ტერენს ტომპსონმა ულიდერა. 14 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა ჯონათან ლიმ, ხოლო ლევან ფაცაციამ შეხვედრა 13 ქულით დაასრულა. დინამოში 17 ქულით როჯერ დოუელი გამოირჩა. მიხეილ ჭოჭუას ანგარიშზე 14 ქულა დაგროვდა.

სუპერთასის მატჩის დიდი შესვენების დროს დაჯილდოვდა გასული სეზონის საუკეთესო მწვრთნელი. 2017-18 წლების სეზონის ჩემპიონი დინამოს მთავარი მწვრთნელი, ირაკლი ხოშტარია ლეგენდარული ქართველი სპეციალისტის, გიორგი ავალიშვილის სახელობის პრიზით საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა გურასპაულმა დააჯილდოვა.

მატჩის დასრულების შემდეგ გამართულ დაჯილდოებაზე კი ქუთაისელთა კაპიტან გიორგი ბარბაქაძეს ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი ვეტერანმა კალათბურთელმა, კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრმა ნოდარ ქორქიამ და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა გურასპაულმა გადასცეს.

# სიონმა და ვიტ ჯორჯიამ სტუმრად სასურველი შედეგები მიიღეს

### სამტრედია-ვიტ ჯორჯია 2:2

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

**1:0 ფანცულაია (22), 1:1 მაისურაძე (58), 1:2 გეთიაშვილი (69), 2:2 ფანცულაია (90)**

**სამტრედია:** კუპატაძე, გურული, ფატიჩი, ჯგერენაია, გოგიაშვილი, ლიპარტია, კერძევაძე, ენდელაძე, ტუღუში (მაქაცარია 76), ფანცულაია, გორელიშვილი (ერისთავი 63)

**ვიტ ჯორჯია:** შეროზია, გეთიაშვილი, ჩაკვეტაძე, ჩიტეიშვილი, საჯაია, ვეკუა (მაისურაძე 53), კიკნაველიძე, ვასაძე, დავლაშელიძე (მოსიაშვილი 66), ღუდუშაური, ღირდალიძე (მუსელიანი 78)

საინტერესო და უხვგოლიანი გამოდგა ფლეი ოფის დაპირისპირება უმაღლესლიგელ სამტრედიასა და პირველლიგელ ვიტჯორჯიას შორის. მოედანზე სიტუაცია რამდენჯერმე შეიცვალა. ჯერ იმერლები იგებდნენ, შემდეგ – ვეტერინარები. სამტრედია წაგებას ბოლო წუთზე გადაურჩა.

საპასუხო მატჩის წინ ვიტ ჯორჯიას მცირე უპირატესობა აქვს, რადგან 0:0 და 1:1 ჰყოფნის.

საპასუხო შეხვედრა კი 15 დეკემბერს გაიმართება, მცხეთა პარკზე.

### გაგჩა-სიონი 0:1

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**0:1 ისიანი (64)**

**გაგრა:** შევჩუკი, ხოსიტაშვილი, სამხარაძე (ივანიძე 65), გაფრინდაშვილი (გაბრიჩიძე 84), ცაცკრიალაშვილი, ხაბელაშვილი, გაფრინდაშვილი, კაკიაშვილი, სპანდერაშვილი (პაპავა 61), კილაძე, სულთანიშვილი

**სიონი:** ზარქუა, მინდორაშვილი, გურეშიძე, კოშკაძე (ქიქავა 90), ხმალაძე, დ.კირკიტაძე, მახარობლიძე (უგულავა 88), ლეჟავა (ისიანი 7), ხეცურიანი, დათუნაიშვილი, გიორბელიძე

გაგრამ, რომელიც საკმაოდ სიმპათიური გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს და საქართველოს თასის ფინალში ტორპედოსთან გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდა, ფლეი ოფის პირველი მატჩი სიონთან გორში გამართა და ნომინალური მასპინძლის სტატუსიც ჰქონდა.

თუმცა, ამჯერად სიონი უკეთესად გამოიყურებოდა. ეს ალბათ უფრო გამოცდილების ბრალია, რადგან გაგრა გაცილებით ახალგაზრდული გუნდია და ასეთი მატჩების ხშირად თამაშის ფუფუნება არ აქვს.

საბოლოოდ, სიონმა 1:0 მოიგო, გოლი კი 64-ე წუთზე ვილი ისიანმა თავური დარტყმით გაიტანა.

განმეორებითი მატჩი 15 დეკემბერს ბოლნისში გაიმართება.

# ფოტოგრაფმა სიძეს ქორწილში სცემა



თურქეთში ქორწილების ფოტოგრაფმა ონურ ალბაირაკმა სიძეს პირდაპირ საქორწინო ზეიმის დროს სცემა მას შემდეგ, როდესაც შეიტყო, რომ პატარძალი 15 წლის იყო.

ინციდენტი თურქეთის პროვინცია მალათიაში მოხდა. მამაკაცი ქორწილის გადასაღებად იყო მიწვეული. მან შენიშნა, რომ პატარძალი უფრო ბავშვს ჰგავდა, ვიდრე ზრდასრულ ქალს. როდესაც მან შეიტყო, რომ გოგონა მხოლოდ 15 წლის იყო, ძალიან აღშფოთდა და მას და სიძეს შორის ჩხუბი ატყდა. შედეგად სიძეს ცხვირი გაუტყდა.

– ბავშვი პატარძლის როლში სხვა არაფერია, თუ არა ბავშვებისადმი სასტიკი მოპყრობა. მსოფლიოში ვერანაირი ძალა ვერ მაიძულებს, სურათები გადავუღო ასეთ პატარძალს, – აღნიშნა ფოტოგრაფმა და იქვე დაამატა, რომ საკუთარ საქციელს ოდნავადაც არ ნანობს.

თურქეთში საქორწინო ასაკი 18 წელს შეადგენს, გამონაკლის შემთხვევაში სასამართლოს დადგენილებით 17 წლის ასაკში დაქორწინება დასაშვებია. ამ ასაკს ქვევით ადამიანების დაქორწინება კი უკანონოდ ითვლება.

# წიგნში მოთხრობილმა ისტორიამ ამერიკელს ლატარიაში მოაგებინა

ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრებმა განაცხადა, რომ ლატარიაში ჯეკპოტი საუკეთესო მეგობრის რომანის წყალობით მოიგო.

მამაკაცმა მონტგომერის ოლქიდან, რომელიც საკუთარ თავს ალექსის უწოდებს, განაცხადა, რომ ლატარიის ბილეთი თავისი საუკეთესო მეგობრის რომანის „განთიადი ამერიკის ბაზარზე“ წაკითხვის შემდეგ იყიდა. წიგნის მთავარი გმირი ყოველ დილით ყავას სავაჭრო ცენტრში სვამდა და მომენტალური ლატარიის ბილეთებს ყიდულობდა.

ალექსმა გადაწყვიტა, წიგნის პერსონაჟის მაგალითისთვის მიებაძა და მისი ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა. მან ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და აღმოაჩინა, რომ 50 ათასი დოლარის მფლობელი გახდა.

– მე მაშინვე ვთქვი: „ეს რაღაც შეცდომაა“. ღრმად ჩავისუნთქე და გავიფიქრე, რომ ამდენ ფულს ვერაფრით მოვიგებდი, – აღიარა ალექსმა.

ის მოგებული ფულის ნაწილის ბავშვებზე დახარჯვას გეგმავს, ხოლო დანარჩენს მომავლისთვის გადადებს.

# მსოფლიოში ყველაზე ბებერმა ალბატროსმა კვერცხი დადო

შავზურგიანმა ალბატროსმა, სახელად უიზდომმა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ გარეულ ფრინველად ითვლება, წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულ მიდუეიზე მორიგი კვერცხი დადო.

უიზდომის ასაკი მინიმუმ 68 წელია. 1956 წელს ის დაიჭირა და ბეჭედი გაუკეთა ამერიკელმა ორნითოლოგმა ჩენდლერ რობინსმა. იმ დროისთვის ფრინველი მინიმუმ ექვსი წლის იქნებოდა. თავის სიცოცხლეში მან დაახლოებით 40 კვერცხი დადო.

– უიზდომი და მისი მეწყვილე აკეკამაი ყოველ წელს უბრუნდებიან თავიანთი ბუდობის ადგილს ატოლ მიდუეიზე, – ნათქვამია აშშ-ის ბუნების დაცვის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში, – ალბატროსები ხშირად ყოველ წელს არ დებენ კვერცხებს, მაგრამ ეს წყვილი, 2006 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს მოდის მიდუეიზე კვერცხის დასადებად და ბარტყის გამოსაჩეკად.

# ქალმა საკუთარი საწოლიდან პითონი გააგდო და ძილი გააგრძელა

ავსტრალიელ ქალბატონს გაეღვიძა და საკუთარ საწოლში პითონი აღმოაჩინა. მან თავადვე გააგდო ქვეწარმავალი და ძილი გააგრძელა.

კვინსლენდის შტატის ქალაქ დუგლასის მცხოვრებმა კატიანა შოიერმა შუაღამისას ძილის დროს ზურგის არეში უჩვეულო სიცივე იგრძნო. ის გადატრიალდა და გვერდით ოთხმეტრიანი პითონი აღმოაჩინა. 25 წლის შოიერმა აღიარა, რომ მის დანახვაზე „სული ფეხისგულებში გაეპარა“.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ის პანიკას არ მისცემია, აიღო იქვე შორიახლოს დადებული თევზების საჭერი შუბი და მისი დახმარებით გველი ნაგვის ურნაში მოათავსა. მისი თქმით, პითონი დაახლოებით 20 კილოგრამს იწონიდა.

– ამის შემდეგ საკუთარ საწოლში დავბრუნდი და ძალიანაც არ ვნერვიულობდი. უბრალოდ, მსურდა, ის ოთახიდან მომეშორებინა, რათა მშვიდად ძილი გამეგრძელებინა, – განაცხადა გოგონამ.

მეორე დილით მან აიღო ურნა, უახლოეს ტყემდე მიაღწია და გველი იქ გაუშვა. ის ფიქრობს, რომ გველს ღამით მისი გადაყლაპვა სურდა, მაგრამ მისი ზომების გამო გადაიფიქრა.

# წითელ ხიდზე არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, აზერბაიჯანის მოქალაქის ტ.გ.-ს ფიზიკური დათვალიერებისას, 1.000 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი (აქციზური მარკების გარეშე) აღმოაჩინეს. ინფორმაციას ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ჩამოერთვა საქონელი და 1.000 ლარის ოდენობით ფულადი ჯარიმა შეეფარდა.

# ქობულეთში მიკროავტობუსი 2 წლის ბავშვს დაეჯახა

ქობულეთში, სოფელ ხალაში, ავტომობილი 2 წლის ბავშვს დაეჯახა. მცირეწლოვანი ადგილზე გარდაიცვალა.

მცირეწლოვანი მშობლებს ხელიდან გაუსხლტა და მას მიკროავტობუსი დაეჯახა.

ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

# ლეკვმა პატრონები გააღვიძა და ხანძარს გადაარჩინა

აშშ-ში ლეკვმა პატრონები ხანძრის თაობაზე გააფრთხილა და დაღუპვას გადაარჩინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

ინციდენტი კანზასის შტატის ქალაქ ჰატჩინსონში მოხდა. ლეკვის, სახელად ბასტერის, პატრონ სარა პოტერს მის უჩვეულოდ ხმამაღალ ყეფაზე გაეღვიძა. ძაღლი მის გვერდით ხტუნაობდა და მეტად შეშფოთებულად გამოიყურებოდა.

თავდაპირველად პოტერს ეგონა, რომ მასთან მისი მეგობარი მამაკაცი იყო მისული და საძინებელი ოთახიდან გამოვიდა. აღმოჩნდა, რომ მისი ბინის ნახევარი ცეცხლის ალში იყო გახვეული და ხანძარი იმ ოთახს უახლოვდებოდა, სადაც მის გოგონას ეძინა. ქალმა შვილი ხელში აიტაცა, ძაღლთან ერთად ქუჩაში გამოვარდა და სახანძრო გამოიძახა.

– ცეცხლი ყველგან იყო მოდებული, იატაკიდან ჭერამდე და ის ძალიან სწრაფად ვრცელდებოდა, – მოგვიანებით განაცხადა ლეკვის პატრონმა.

მალე შემთხვევის ადგილზე მაშველები მივიდნენ. მართალია, მათ ცეცხლის ჩაქრობა მოახერხეს, მაგრამ სახლისგან, ფაქტობრივად, აღარაფერი დარჩენილა.

– ძალზე დამწუხრებული ვარ, ვინაიდან მთელი ნივთები დავკარგე. ჩემს გოგონას ერთი წყვილი ფეხსაცმელიც კი არ დარჩა. ყველა საშობაო საჩუქარიც, რა თქმა უნდა, დაიწვა, არადა, მათ შესაძენად რამდენს ვშრომობდი, – განაცხადა პოტერმა.

ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა ხანძრის მიზეზი, მეხანძრეების დასკვნით სახლში ცეცხლი სამზარეულოდან გავრცელდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 14 დეკემბრისათვის

**ვერძი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. ** კურო** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **ტყუპები** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ. **კირჩხიბი** – პარტნიორის შესაძლებლობები სათანადოდ შეაფასეთ. დღეს დაშვებული შეცდომის გამოსწორება იოლი არ იქნება. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. შესაძლოა, დაწყებული პროექტების შეჩერება მოგიხდეთ. **ქალწული** – რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **სასწორი** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა ენერგიით აღგავსებთ. ნებისმიერ რთულ სიტუაციას თავს დააღწევთ. **ღრიანკალი** – თქვენი კეთილდღეობისათვის ოჯახში არსებულ ემოციურ ფონს დიდი მნიშვნელობა აქვს. პირად ცხოვრებაში იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა, რომანტიკული პაემანი. თქვენი ძალისხმევა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. პლანეტები გირჩევენ, არ გადაიღალოთ. პარტნიორთან უთანხმოება თანამშრომლობის მომავალ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. **მერწყული** – საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თევზები** – შინაგანი არასტაბილურობა წარმატების მოპოვების შანსს დაგაკარგვინებთ. იმპულსურობა გავნებთ.

**გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!**

# ჯოსვოიდი ბ



**შვეულად**: 2. ნახევარკუნძული ევროპაში; 3. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 4. რაიმე საქმეში, პროექტში კაპიტალის დამბანდებელი პირი; 5. საჯარისო შენაერთი; 6. ღომში ჩაზელილი სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 8. სისხლის თეთრი ბურთულაკების წარმომქმნელი შინაგანი ორგანო; 11. რაიმე ცნების, იდეის პირობითი ნიშანი; 14. კარსტულ მღვიმეში ძირიდან აღმართული კონუსისებრი სვეტი; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ვარდების ბაღი; 17. სახალხო თავყრილობა ძველ რომში; 19. ლირიკული სიმღერა; 21. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 22. ფშავ-ხევსურეთის ძველებური სახელწოდება.

**თარაზულად**: 1. ტვირთბრუნვით გერმანიის ყველაზე დიდი ნავსადგური; 5. ბრაზილიური ყავა; 7. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 9. ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი; 10. ჰოლანდიური ლუდი; 12. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 13. ლუთერანული ეკლესიის უფროსი მღვდელი; 16. ძვირფასი, სამახსოვრო ნივთი; 17. ჩრდილო და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 18. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 20. წელიწადის მეოთხედი; 22. იტალიური ავტომობილი; 23. ფრანგული ბულდოგი; 24. ქართული რადიო; 25. დენის ძაბვის საზომი ერთეული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ექსტაზი; 2. ტარო; 3. ტორფი; 4. აგრეჟე; 6. ხანჯლური; 9. ტოშიბა; 13. შუშპარი; 14. გურზუფი; 15. დიბალა; 17. ჰერიო; 18. ხომლი; 20. ჯარა.

**თარაზულად:** 1. ესტრადა; 5. კირხე; 7. ზოოლოგი; 8. სპრინტი; 10. ტვინი; 11. ფლატე; 12. თუშეთი; 16. შულერი; 17. ჰიჯრა; 19. შინი; 21. ვაზარი; 22. ჩიზელი; 23. პამირი; 24. ქიმერა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. იმერეთი; 3. ევოლუცია; 4. ასტეროიდი; 5. დუკლა; 6. იამოტო; 8. უჯარმა; 11. სტილეტი; 14. ტრუსკავეცი; 15. გემრიელი; 16. ფერეიდანი; 17. როდოსი; 19. ფრეგატი; 21. პიესა; 22. პუარო.

**თარაზულად:** 1. ჩინეჩიტა; 5. დაჩი; 7. ჭყურტი; 9. აერონავტიკა; 10. მუსკატი; 12. ატრიუმი; 13. პრისტლი; 16. ფიტარეთი; 17. რიცი; 18. ოფურო; 20. ალკატელი; 22. პრესა; 23. ოგინსკი; 24. აირანი; 25. სუეცი.

# თაკო გაჩეჩილაძე ქმრის გვარზე გადავიდა

მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე რამდენიმე თვის წინ ბულგარელ ბორის მილანოვზე გათხოვდა. თაკომ და ბორისმა ერთმანეთი ევროვიზიაზე გაიცნეს, სადაც თაკო საქართველოს წარადგენდა.

ორიოდე დღის წინ კი წყვილმა ხელი მოაწერა და ოფიციალური ცოლ-ქმარი გახდა. თაკო მეუღლის გვარზე გადავიდა და ამიერიდან ის მილანოვაა.

ბორის მილანოვი წარსულში ფეხბურთელი იყო, შემდეგ კი მუსიკის წერა დაიწყო. ასე აღმოჩნდა მუსიკალურ სამყაროში, სადაც დღეისთვის კარგად არის ცნობილი. ბორისმა კომპანია დააფუძნა, რომელიც არტისტებთან მუშაობს და კონცერტებს უწევს ორგანიზებას.

ხელისმოწერის სასიამოვნო ინფორმაციის გავრცელებასთან ერთად, ისიც გახდა ცნობილი, რომ წყვილი ბავშვს ელოდება.

# ნათია თოდუა „საქართველოს ვარსკვლავის“ ჟიურიშია

გერმანული ვოისის გამარჯვებული ქართველი მომღერალი ნათია თოდუა „საქართველოს ვარსკვლავის“ ჟიურის წევრია.

ნათიასთან ერთად კონკურსანტებს სტეფანე მღებრიშვილი და ზაზა შენგელია შეაფასებენ. ფოტო ჩაწერებიდან სტეფანე მღებრიშვილმა გაავრცელა.

„საქართველოს ვარსკვლავი“ საზოგადოებრივ არხზე ახალი წლიდან დაიწყება. მისი წამყვანები რუსკა მაყაშვილი და ვანიკო თარხნიშვილი იქნებიან. ეს წყვილის პირველი თანამშრომლობაა საზოგადოებრივ მაუწყებელთან.

„საქართველოს ვარსკვლავის“ გამარჯვებული მომავალ წელს ჩვენს ქვეყანას ევროვიზიაზე წარადგენს.

# ანსამბლ „საგალობელის“ დამაარსებელი როსტომ გოგოლაძე გარდაიცვალა

ანსამბლ „საგალობელის“ დამაარსებელი, რაჭული მუსიკის უბადლო მცოდნე როსტომ გოგოლაძე გარდაიცვალა.

ინფორმაცია მომღერალმა გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა:

– გარდაიცვალა ძალიან დიდი ქართველი. რაჭული ხალხური მუსიკის უბადლო მცოდნე როსტომ გოგოლაძე.

მისი ნაადრევი წასვლა უდიდესი დანაკლისია ჩვენი ქვეყნისთვის. ის გახლდათ ანსამბლ „საგალობელის“ დამაარსებელი და მთელი ცხოვრება ემსახურა ჩვენს ქვეყანასა და მის ქალაქს, ამბროლაურს. ბედნიერი ვარ, რომ მასთან ბევრი დრო მაქვს გატარებული და მისგან ძალიან ბევრი მაქვს ნასწავლი.

ვუსამძიმრებ მეუღლეს, შვილებს, ანსამბლის წევრებს, მეგობრებსა და ყველას, ვისაც გული დასწყდა.

დიდი მადლობა, ბატონო როსტომ, ძალიან დიდი ღვაწლისთვის. ყოველთვის მემახსოვრებით და მეყვარებით.

# „დურუჯმა“ გამარჯვებულები მეათედ გამოავლინა

თეატრალურმა პრემია „დურუჯმა“ გამარჯვებულები უკვე მეათედ გამოავლინა და საზეიმო ვითარებაში დაჯილდოვა.

წლის საუკეთესო რეჟისორის პრიზი ელენე მაცხონაშვილმა მიიღო სპექტაკლისთვის „წერილი ჯერალდინას“, რომელიც ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში დაიდგა.

წლის საუკეთესო მამაკაცი მსახიობი თორნიკე გოგრიჭიანი გახდა სპექტაკლში „მარიონეტების ცხოვრება“ შესრულებული როლისთვის.

წლის საუკეთესო ქალ მსახიობად მეგი კობალაძე დასახელდა სპექტაკლში „სიყვარულის ფორმულა, ანუ დონ ჟუანი“ ნათამაშევი როლისთვის.

წლის თანამედროვე ქართული პიესა ლაშა ბუღაძის „ნავიგატორი“ გახდა.

საუკეთესო სცენოგრაფიისთვის კი პრიზი სერგეი შივცმა მიიღო სპექტაკლისთვის „ანტიგონე“.

პრემია „დურუჯზე“ წარდგენილი კანდიდატების ვინაობა ზაფხულში გახდა ცნობილი. მონაწილეობის მსურველთა შორის საუკეთესოები სპეციალურმა ჟიურიმ შეარჩია.

**ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე:**

– ვულოცავ ყველა ნომინანტს, ამდენ ინდივიდუალურ და თვითმყოფადს შორის გამორჩევა უკვე დიდი წარმატებაა. ყველაზე გამორჩეული და პრესტიჟული თეატრალური პრემია „დურუჯის“ მე-10, საიუბილეო დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. წლევანდელი დაჯილდოება იყო განსხვავებული და ორიგინალური, ამ კონცეფციაზე კომპანია რედიქსთან და საქველმოქმედო ფონდ „ცისკართან“ ერთად რეჟისორმა ნიკოლოზ საბაშვილმა იმუშავა. ერთი მხრივ, კედლებზე „დურუჯის“ ათწლიანი ისტორია აისახა, ხოლო მეორე მხრივ დაანონსდა ის ცვლილებები, რომლებსაც გუნდი სამომავლოდ გეგმავს. მადლობა ორგანიზატორებს ქართული თეატრის მხარდაჭერისთვის, თეატრის სფეროს მოღვაწეების წახალისებისა და მოტივაციის ამაღლებისთვის.



# გიორგი კეკელიძის „გურული დღიურები“ იტალიურად ითარგმნა

მწერალ გიორგი კეკელიძის ბესტსელერი „გურული დღიურები“ იტალიურად ითარგმნა. ნაწარმოების მთარგმნელი ნათია სულავაა.

პირველი ეგზემპლარი უკვე ჩამოვიდა საქართველოში და გიორგი კეკელიძის განკარგულებაშია.

გურული დღიურების პირველი ორი წიგნი იტალიაში ერთ-ერთმა გამომცემლობამ გამოსცა. წარდგენა იტალიის რამდენიმე ქალაქში 2019 წელს გაიმართება.

# ატენის სიონის დამახინჯება გრძელდება




თავის დროზე ატენის სიონის გვერდით მშენებლობის დაწყება იმ ადამიანებმა გააპროტესტეს, რომლებისთვისაც ეს ფაქტი უნიკალური ძეგლის დამახინჯების ტოლფასია, თუმცა მაშინ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განმარტა, რომ ამაში საგანგაშო არაფერია.

ატენის სიონთან დაკავშირებული უახლესი ინფორმაცია ჟურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა გაავრცელა:

– მოსამართლე ხატია არდაზიშვილმა თქვა, რომ მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ატენის სიონის გვერდით მშენებლობის დაწყებაზე ნებართვის გაცემა მოხდა კანონიერად.

ჩემი ნება რომ იყოს, კულტურული მემკვიდრეობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებისთვის გარკვეული თანამდებობის პირებთან ერთად ამ მოსამართლესაც პასუხს ვაგებინებდი, საყდრისის საქმის მოსამართლე ნინო ბუაჩიძესთან ერთად.

ჩვენს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს არავის სთხოვენ, არავის სჯიან; პირიქით – აწინაურებენ. უახლოეს დღეებში, ძალიან მალე ერთი ამგვარი ფაქტის ირგვლივ დავწერ აქ და ვიტყვი ჩემს გადაცემაში.

ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოში. მეექვსე სართულზე, №35 დარბაზში 10:25 წუთზე მოსამართლე ხატია არდაზიშვილმა გამოაცხადა გადაწყვეტილება, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ფილიალის წარმომადგენლების ქეთევან ბებიაშვილისა და მაია გრძელიშვილის საარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდაო. მოსარჩელეები ითხოვდნენ იმ აქტების ბათილად ცნობას, რომლის საფუძველზეც ატენის სიონიდან რამდენიმე მეტრში ჩემ მიერ გადაღებულ ამ ფოტოზე წარმოდგენილი მშენებლობა დაიწყეს.

მოწინააღმდეგე მხარე გახლდათ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

დიდწილად, სავარაუდოდ, გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდება.

# ანსამბლ „თორდას“ ფორმები მოჰპარეს

ანსამბლი „თორდა“ „თსუ გორდელას“ ერთ-ერთმა წევრმა თამარ ალადაშვილმა ჩამოაყალიბა, სადაც მომავალ თაობებს ქართულ სიმღერებს აზიარებს.

თამარ ალადაშვილმა ანსამბლისთვის სპეციალური ფორმები შეაკერვინა, რომელიც, „თორდას“ წევრების გარდა, სრულიად დაუკითხავად სხვა ანსამბლის ფორმაც გახდა.

**თამარ ალადაშვილი:**

– უკაცრავად და ეს „მაიკები“ რომ ჩააცვა, ვინც ჩაცვა... არ უნდა იკითხოთ?

რა კარგია სხვის ხარჯზე ცხოვრება... მოიპარეს ფორმა და აცვიათ ასე ბედნიერად თორდას „მაიკები“.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

ლია ლაღიძე და სოსო ნაყოფია ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლობლის, ნიჭიერი პედაგოგის, ქალბატონი

## ია კერზაიას

უდროოდ გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს – დედას ჟუჟუნა ცანავას, შვილს ბაჩანა შენგელიას, დას მარინას, ძმას ბადრის, სიძეს მალხაზ თოდუას, უამრავ ნათესავს, მეგობრებსა და კოლეგებს.

## მეხის გავარდნას ჰგავდა სიკვდილი შენი...

იაგო (ნანავა), ჩემო მეზობელო, ჩემო სკოლელო, ჩემო კოლეგავ, ჩვენო დიდრონთვალებავ და ლურჯთვალებავ... ბოლო წლებია, საქართველოში სიკვდილი ჩვეულებრივ მოვლენად გვექცა, თითქოს მივეჩვიეთ. შენი გარდაცვალება განსხვავებული აღმოჩნდა. შენმა სიკვდილმა ძლიერ შეცვალა ჩვენი დამოკიდებულება სიცოცხლესა და ცხოვრებაზე, რწმენისა და იმედის საძირკვლებს შეეხო... თუმცა, სანამ იცოცხლე, საუკეთესო გქონდა ყველაფერი: ულამაზესი ცოლ-შვილი, უძლიერესი მშობლები, უსაყვარლესი დები, ერთგული მეგობრები, ადამიანების უანგარო სიყვარული. განა ყველას განუცდია ეს?

მამშვიდებს, რომ იქ მარტო არ იქნები, დედა დაგხვდება.

გემშვიდობები ისე, რომ უმოძრაოს, გაჩერებულს არ განახავ.

დავიმახსოვრებ მარადის ჩვენს ბოლო შეხვედრას, სადაც სიცოცხლით სავსე, ღიმილიანი და ბედნიერი იყავი ნარინჯოვანელების შეხვედრაზე.

მშვიდობით!

**ეკა ქარდავა**

სრულიად აფხაზეთი, ძირძველი სამურზაყანო, ნათესავ-მეგობრები, გულდათუთქული თანაკლასელები, ნარინჯოვანის საშუალო სკოლის ყოფილი და ამჟამინდელი პედაგოგები გაუსაძლისი გულისტკივილით იუწყებიან კარგი შეგირდის, კოლხური სტუმართმოყვარეობის მატარებელი, სუფრის ეშხიანი აკადემიური თამადის, ოჯახში საიმედო თავკაცის, მეგობრებში გამორჩეული კოლორიტული პიროვნების, ბატონი

## იაგო ველოდის ძე ნანავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

მან უდიდესი გულისტკივილი დაგვიტოვა და ზღვა ცრემლი გაიყოლა თან. ძნელია წარსულში მასზე საუბარი.

პატრიარქის – ილია მეორის გენიალური ქადაგებაა: „საყვარელ ადამიანს როცა ვკარგავთ ამ საწუთროში, არაფერია, რადგან იმ წუთიდან იწყება მისი მარადიული სიცოცხლე ზეციურ საუფლოში უზენაესის განგებით“.

მხოლოდ დასანანია, რომ მას საახალწლოდ მამის გახარება უნდოდა ოდაბადეში, ვერ ჩააღწია. სამაგიეროდ, მარადისობაში მყოფი საფიცარი დედის მოფერება გადაწყვიტა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უმშვენიერესი, უკვდავი სული, რადგან „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს!“

**ოჯახის, ნათესავ-მეგობრების, თანაკლასელებისა და პედაგოგების სახელით, რაჟდენ ქარდავა**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**14 დეკემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.6594
- ევრო — 3.0144
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3346
- 100 რუსული რუბლი — 4.0028

## ამინდის პროგნოზი 14 დეკემბრისთვის

## მეგან მარკლის პირველ ქორწილში სტუმრებს მარიხუანა დაურიგეს

მარიხუანის პაკეტები.

მსახიობ მეგან მარკლის პირველ ქორწილში, რომელიც ამჟამად დიდი ბრიტანეთის პრინც ჰარის მეუღლეა, სტუმრებს მარიხუანას ურიგებდნენ.

2011 წელს მარკლი ცოლად გაჰყვა კინოპროდიუსერ ტრევორ ენგელსონს. ქორწილი იამაიკაზე სასტუმროში გადაიხადეს, სადაც ადრე თაფლობის თვე მერლინ მონროს ჰქონდა გატარებული. იქ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ასამდე სტუმარი იყო ჩასული, მათ შორის სერიალ „ფორს-მაჟორის“ მთავარი როლების შემსრულებლებიც, და რომელშიც მარკლიც იყო გადაღებული. ახლად შეუღლებულებმა სტუმრებისთვის 55 ნომერი და ვილები დაიქირავეს, რომლებიც სასტუმროს ეკუთვნოდა, თავად კი მათ შორის ყველაზე ძვირადღირებული (1.2 ათასი დოლარი დღეში) ჰქონდათ დაკავებული.

მარკლის მამის თქმით, ქორწილზე ჩამოსულ სტუმრებს ურიგებდნენ ჩანთებს, რომლებშიც, სიძე-პატარძლის მისასალმებელი წერილის გარდა, იდო მარიხუანის პაკეტები.

— ეს არაკანონიერია, თუმცა იამაიკისთვის განსაკუთრებული არაფერია. იქ ეს პრაქტიკულად ტრადიციაა, — ამტკიცებს 74 წლის ტომას მარკლი, — მე თავად მას არ მოვიხმარ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არც მეგანი. არც მახსოვს, სად წავიღე ჩემი კუთვნილი მარიხუანის პაკეტი, ალბათ ვინმეს მივეცი.

შეგახსენებთ, რომ მეგან მარკლი ტრევორ ენგელსონს 2013 წელს დაშორდა, ხოლო 2018 წლის 19 მაისს კი პრინც ჰარისთან იქორწინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სექსრობოტების აჯანყების აღკვეთის მცდელობა ჩავარდა

კრაუდფანდინგურ ვებგვერდზე დაწყებული თანხის შეგროვება სექსთოჯინებიანი ეთიკური ბორდელისთვის წარუმატებლად დასრულდა.

ორი თვის განმავლობაში დაწესებულებისთვის მხოლოდ 2659 დოლარის შეგროვება მოხერხდა, რაც საჭირო თანხის, 155 ათასი დოლარის, ორ პროცენტზე ნაკლებს წარმოადგენს.

პროექტის შემქმნელი, რომელიც იუნიკოულ იუნიკრონის ფსევდონიმით სარგებლობს, თავს რობოეთიკის სპეციალისტსა და სექსრობოტ ჰარმონის დიალოგების ავტორს უწოდებს. ის კალიფორნიაში ფუტურისტული კაფეს გახსნას გეგმავდა, სადაც ადამიანებს ჰარმონისთან გასაუბრების, შემდეგ კი რობოტთან ერთად სპეციალურ ნომერში განმარტოების საშუალება ექნებოდათ. ამაში მათ 122 დოლარის გადახდა მოუწევდათ.

იუნიკრონის ჩანაფიქრით, ასეთ კაფეს სხვა მსგავსი დაწესებულებებისგან ის განასხვავებდა, რომ რობოტებთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას იძლეოდა.

— ამ კაფესთვის თანხის შეწირვა დაგვეხმარება, შევქმნათ სამყარო, სადაც რობოტებს პატივისცემით მოეპყრობიან, რასაც ისინი იმსახურებენ და რაც მომავალში რობოტების შესაძლო აჯანყებას თავიდან აგვაცილებს, — განმარტა პროექტის შემქმნელმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ისკო იანვარში რეალიდან წავა

თითქმის გადაწყვეტილია, რომ ისკო იანვარში მადრიდის რეალს დატოვებს. ცსკასთან შეხვედრაში ისკომ ძალიან ცუდად ითამაშა და შეხვედრის ბოლოს მას ფანებმა დაუსტვინეს. გარდა ამისა, როდესაც მარსელომ მოედანი დატოვა, მას სურდა, რომ კაპიტნის სამკლავური ისკოსთვის მიეცა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი თქვა.

ისკოს სახელს ძირითადად ინგლისურ გუნდებს უკავშირებენ, განსაკუთრებით — მანჩესტერ სიტის, სადაც ხოსეპ გვარდიოლას ძალიან უნდა მისი შეძენა.

## ტომას მიულერმა ბოდიში მოიხადა

ტომას მიულერმა აიაქსთან უხეში თამაშის გამო ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ მას უხეშად თამაშის განზრახვა არ ჰქონია. ერთ-ერთ ეპიზოდში მიულერმა ტალიაფიკოს ფეხი ჩაარტყა, რის შემდეგაც ის მოედნიდან გააძევეს. მიულერის თქმით, მას, უბრალოდ, მეტი სიფრთხილე მართებდა:

— ეს განზრახ უხეშობა არ ყოფილა და მინდა, ტალიაფიკოს ბოდიში მოვუხადო. მსგავსი რამ არ განმეორდება.

ბაიერნისა და აიაქსის შეხვედრა 3:3 დასრულდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ბიჭი გოგონას ეუბნება:
— გოგონი, ტივტივების იქით არ გაცურო!
— უტვინო! ეს ტივტივები კი არაა, ზურგზე ვცურავ!

•••

ბავშვმა მამასთან ატირებულმა მიირბინა და ეუბნება:
— მამიკო, ბებიამ ხელზე მიკბინა!
— შვილო, რამდენჯერ გაგაფრთხილე, ხელს გალიაში ნუ ყოფ!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
— რითი ხარ დაკავებული, ასე დაღლილად, რომ გამოიყურები?
— ტელევიზორს ვუყურებ, ვჭამ, კომპიუტერში ვთამაშობ, სააბაზანოში ვწევარ, მძინავს...
— თავს სულ არ უფრთხილდები...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
— მოლუსკები გაგისინჯავს?
— ჰო.
— როგორი გემო აქვს?
— ბავშვობაში ჟღვლინტი გადაგიყლაპია?
— ჰო.
— ჰოდა იგივე გემო აქვს, მხოლოდ მინტაის გემოთი.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:
— ძვირფასო, მოდი თავიდანვე შევთანხმდეთ, მე ვიტყვი, რომ ეს კერძი ძალიან გემრიელია, მხოლოდ მეტად აღარ მოამზადო!

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:
— აბა როგორ ჩაიარა ახალ ქმართან შენმა პირველმა სადილმა?
— ისე რა, ერთ კვირაში გამოწერენ...

•••

ავტობუსში ქალი ხმამაღლა საუბრობს ტელეფონზე:
— ნესტანი როგორაა? ტარიელი? ავთანდილი ინდოეთში ხომ არ წასულა? რაა, თინათინი ჩამოვიდა?
ამ დროს გვერდით მჯდომი მამაკაცი ეუბნება:
— ქალბატონო, თუ შოთას ელაპარაკებით, რუსთაველს, ჩვენგან მოკითხვა გადაეცით...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

— გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
— ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
— კანის დაავადებები
— უროლოგია
— გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## კარვახალმა რეალის ახალგაზრდა ფეხბურთელები გააკრიტიკა

მადრიდის რეალმა საკუთარ მოედანზე ცსკასთან სამარცხვინო მარცხი იწვნია ანგარიშით 0:3. მიუხედავად იმისა, რომ რეალისთვის ეს თამაში მნიშვნელოვანი არ იყო, მადრიდელები მაინც მოხვდნენ კრიტიკის ქარცეცხლში.

მატჩის შემდეგ დანიელ კარვახალმა რეალის ახალგაზრდა ფეხბურთელებზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ უკეთესი თამაში მოეთხოვებათ, რადგან ისინი რეალის ღირსებას იცავენ.

— ასეთი მარცხი მიუღებელია და მინდა მივმართო ახალგაზრდა მოთამაშეებს, რომ მათ სწორედ ასეთ შეხვედრებში უნდა გამოიჩინონ თავი. შესაძლოა, ისინი, უბრალოდ, არ არიან მზად მაღალ დონეზე სათამაშოდ, — განაცხადა კარვახალმა.

## იუვენტუსი პოგბას დაბრუნებას აპირებს

ტურინის იუვენტუსი მზად არის, პოლ პოგბა იყიდოს და მასში 80 მილიონი ევრო გადაიხადოს.

პოგბას უკვე დიდი ხანია კონფლიქტი აქვს ჟოზე მოურინიოსთან, ამიტომ არავისთვის გასაკვირი არ იქნება, თუ ის მანჩესტერს დატოვებს.

პოგბას სახელს ბარსელონასთანაც აკავშირებდნენ ზაფხულში, მაგრამ ეს ტრანსფერი არ შედგა, რადგან მანჩესტერმა მისი გაშვება არ ისურვა. ზაფხულში შესაძლოა ყველაფერი შეიცვალოს, თუ პოგბასა და მოურინიოს ურთიერთობები არ დალაგდება, მაშინ მანჩესტერს მოუწევს რომელიმეზე უარის თქმა.

## ჯოსვოხდი ১



**შვეულად**: 1. სტიბიუმის საბადო რაჭაში; 2. ტურისტთა მეგზური; 3. ალექსანდე ყაზბეგის მოთხრობა; 4. მილების სისტემის მქონე დიდი კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 6. მოლაპარაკე ფრინველი; 9. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. გემის სამზარეულო; 14. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასებეწვიანი ცხოველი; 15. ცისფერი ძვირფასი ქვა; 17. ბერების განცალკევებული სადგომი მონასტერში; 18. საკონდიტრო ნაწარმი; 20. მდინარე კახეთში.

**თარაზულად**: 1. ხორვატიის დედაქალაქი; 5. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 7. ხეხილის ბაღი; 8. ძველბერძენი მოქანდაკე; 10. ქართული ბანკი; 11. აქლემის ბეწვისაგან მოქსოვილი ხალიჩა; 12. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 16. სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 17. საბერძნეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 19. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 21. ხურდა ფული თურქეთში; 22. რკინიგზის ხაზის სიგრძის საზომი ერთეული; 23. დაბალი, საამო ხმით მღერა; 24. ფენოვანი ქანი, იპობა, სკდება თხელ-თხელ ფირფიტებად.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*